პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 27 (37). პარასკევი, 4 აგვისტო, 1944 წ. ფასი 1 მან.

## დღეს ნომერშია

— რეპინი (მოწინავე. დიდი მხატვრის დაბადებიდან 100 წლის თავის შესრულების გამო).
— ვ. დარასელი — კავკასიური ნოველები.
— ალექსანდრე ქუთათელი — ორი წერილი (ლექსი).
— მაყვალა მრევლიშვილი — აპრილის ეტიუდები (ლექსები).
— იოსებ ტატიშვილი — სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე.
— გიორგი შატბერაშვილი — მრუდე ხის ჩრდილი.
— მამია დუდუჩავა — რეპინი და საქართველო.
— პროფ. მოსე თოიძე — დაუვიწყარი სალამო (მოგონება რეპინზე).
— იოსებ მამალაძე — ერთი დღე პენატებში.
— პროფ. უჩა ჯაფარიძე — რეპინის მუშაობის სტილი.
— შალვა ალხაზიშვილი — ილია რეპინი და ივანე თარხნიშვილი.
— ალექსანდრე კიკვაძე — ტიმოთე გაბაშვილი.
— აზიზ შარიფი — პოეტი-ისტორიკოსი.
— გურგენ ბორიანი — დედა. (თარგმანი სომხურიდან არტ. დავითიანისა.)

## რეპინი

ხალხთა ბრძენმა ბელადმა, დიდმა **სტალინმა** რუს ერს პლეხანოვისა და ლენინის ერი, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასი და ჩაიკოვსკის, გორკის და ჩეხოვის, სეჩენოვის და პავლოვის, რეპინის და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერი უწოდა. რეპინი სრული უფლებით შედის ამ ბრწყინვალე თანავარსკვლავედში, რუს გენიოსთა ამ პლეადაში, რომლითაც ამაყობს დიდი რუსეთი.

დღეს მთელი საბჭოთა ქვეყანა სიამაყით იხსენიებს და ადიდებს დიდ რეალისტ შემოქმედს, რუსული სკოლის სწორუპოვარ მხატვარს, რუს გენიოს ხელოვანს — ილია რეპინს.

ილია რეპინის მხატვრობაში გამოხატულება ჰპოვა რუსი ხალხის ქმედითმა ძალამ, დიდმა მხატვრულმა ტალანტმა, შრომის მაღალი კულტურით მოპოვებულმა ოსტატობამ. ამ დიდი რუსი ფერმწერალის სურათები მადლმოსილია მეცხრამეტე საუკუნის რუსული რეალისტური ხელოვნების საუკეთესო თვისებებით: სიმართლით, უკუღმართი ცხოვრების მიმართ მგზნებარე მსჯავრმდებლობით, მშობელი ქვეყნისადმი წრფელი სიყვარულით და მომავლის შეურყეველი რწმენით.

ილია რეპინი მთელი თავის არსებით, მთელი თავის შემოქმედებით რუსი ხალხის ღვიძლი შვილი იყო,— ის რუსი ხალხის ცხოვრებაში პოულობდა მხატვრულ შთაგონებას; თავისუფლებისმოყვარე რუსი ხალხის ბრძოლა განუმტკიცებდა მას მომავლისადმი რწმენას; ის ახალგაზრდობიდანვე გაიმსჭვალა რევოლუციური დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეებით, რამაც მის შემოქმედებას მაღალი იდეურობა და უკეთესი მერმისისათვის მქადაგებელის პათოსი შესძინა. რეპინი ახალგაზრდობიდანვე გაჰყვა რუსული ხელოვნების ახალ მოწინავე მიმართულებას („პერედვიჟნიკებს") და განიცადა მისი იდეური ხელმძღვანელების კრამსკოის და სტასოვის კეთილმყოფელი გავლენა.

რეპინს ღრმად სწამდა და სჯეროდა რუსული ხელოვნების დიდი მომავალი, იდეური რეალიზმის სისწორე. უცხოეთში ყოფნამ მისი რწმენა ვერ შეარყია. პირიქით, კიდევ უფრო მეტად გაცხოველდა მისი სიყვარული სამშობლოს ქვეყნის ხელოვნებისადმი. რეპინი 1873 წელს რომიდან სწერდა სტასოვს: „ახლა კიდევ უფრო მეტად მიყვარს რუსეთი... კაცმა მშობლიურ ნიადაგზე უნდა იმუშაოს". უცხოეთში რეპინი ყოველივეს რუსული იდეური რეალიზმის თვალსაზრისით აფასებდა.

როდესაც რეპინი რუსეთში დაბრუნდა და ტრეტიაკოვის გალერეია ინახულა, სტასოვს აღტაცებით სწერდა: „ტრეტიაკოვის გალერეიაში ნეტარება განვიცადე. ღრმა ინტერესს იწვევენ იდეები, რომლითაც ავტორები ხელმძღვანელობენ, არსად, არც ერთ სხვა სკოლისაგან მე არ განმიცდია მხატვრის აზრის ასეთი ზეგავლენა. ზოგიერთი მხატვრები წარმატებით ცდილობდნენ ადამიანებს დაანახვონ სარკეში ადამიანი... შეიძლება ითქვას, რომ რუსულ სკოლას წინ აქვს დიდი მომავალი".

რუსული ფერწერის კლასიკოსი რეპინი, მართალია, უაღრესად დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა მხატვრული ნაწარმოების დედააზრს, მაგრამ ფერწერითი პრობლემებსაც დიდი ყურადღებით ეკიდებოდა. რეპინის სიტყვით: „ღრმა იდეა დიდმნიშვნელოვანი ხდება, როცა იგი სრულქმნილ ფორმაშია მოქცეული. მხოლოდ ფორმის მეოხებით აღწევს იგი დიდ მნიშვნელობას. მაღალი იდეების გამოხატვის ცდა ტლანქი და უხეში საშუალებებით ზიზღის მომგვრელია". რეპინი ბეჯითად სწავლობდა ძველი ოსტატების — ველასკეზის, ტიციანის, ვერონეზის, რემბრანდტის ფერწერას. გულდასმით ადევნებდა თვალყურს თავისი დროის ფერწერითს ძიებებს, შერჩევით ითვისებდა ფერწერის კლასიკოსებისა და იმპრესიონისტების მონაპოვარს და მით ამდიდრებდა რუსული რეალისტური სკოლის ფერწერას. ის ნაწარმოების ფორმას ყოველთვის სურათის დედააზრით წარმართავდა. „ჩემი მთავარი პრინციპი ფერწერაში, — აცხადებდა რეპინი, — არის მატერია... მე ყოველთვის დედაარსს ვესწრაფვოდი. არიან მრავალგვარი მხატვრები, ბევრი მათგანისათვის მანერულობამდე დაყვანილი ფუნჯის არტისტული მოსმა არის მთავარი. ვაღიარებ მე ისინი არასოდეს არ მყვარებიან: ისინი მე ხელს მიშლიდნენ დამენახა დედაარსი და დავმტკბარიყავი საერთოს ჰარმონიით".

ყოველივე ეს რეპინის შემოქმედებას დიდი ზეგავლენის ძალას ანიჭებდა. როდესაც ლევ ტოლსტოიმ ნახა სურათი „ივანე მრისხანე და შვილი მისი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს", მან შემდეგი წერილით მიმართა რეპინს: „სამი დღის წინათ ვიყავი გამოფენაზე, მაშინვე მინდოდა მომეწერა თქვენთვის და ვერ მოვასწარი. მინდოდა მეთქვა თქვენთვის ის, რაც ვიგრძენი: ბარაქალა რეპინს. სწორედ რომ ბარაქალა! აქ რაღაც მხნეობაა, ძლიერი, გაბედული და მიზანში მოხვედრილი... კარგია. ძლიერ კარგია. მხატვარს მოუწადინებია მნიშვნელოვანი რაიმე ეთქვა. და სთქვა სრულიად ნათლად".

რეპინმა ღრმადმწვდომი სიმართლით, გულის შემძვრელი ჰუმანიურობით, ფერწერის გრძნობით დაგვიხატა „ბურლაკებსა" (1873 წ.) და „ლიტანიაში" (1883 წ.) ექსპლოატაციისა და სიღარიბის სიდუხჭირეში მოქცეული რევოლუციამდელი გლეხური რუსეთი. რუსი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ამსახველი კომპოზიციები: „პატიმარი", „პროპაგანდისტის დაპატიმრება", „უარი სთქვა აღსარებაზე", „არ ელოდნენ", რევოლუციურ შეგნებას ზრდიდა, პროტესტის გრძნობას აღვივებდა, ათასეულ მნახველებს საბრძოლოდ აღაფრთოვანებდა.

თუ რაოდენი თანაგრძნობით ეკიდებოდა რევოლუციური დემოკრატიის იდეებით გამსჭვალული მხატვარი ჩაგრულ ერებს, — ეს ერთი მისი სურათის დეტალიდანაც სჩანს. კომპოზიციაში „არ ელოდნენ" ფერმწერალმა რევოლუციონერის ბინის კედელზე მოათავსა შევჩენკოსა და ნეკრასოვის პორტრეტები. ამით რეპინი აცხადებდა, რომ რუსი დემოკრატები, რუსი მოწინავე ინტელიგენცია მხურვალე თანაგრძნობით ეკიდებიან შევჩენკოს ბრძოლას უკრაინის ეროვნული თავისუფლებისათვის. მხატვარი ამაზედაც არ ჩერდება, უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ უკრაინელების ბრძოლის თემას კიდებს ხელს და ქმნის ღირსშესანიშნავ ნაწარმოებს „ზაპოროჟიელებს".

რეპინის დიდი ფერწერითი ოსტატობა, ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოხატვის ძალა განსაკუთრებული ბრწყინვალებით გამოჩნდა პორტრეტულ ჟანრში. მას ამ მხრივ ბადალი არა ჰყავს რუსეთში. მან დაგვიტოვა რუსული ნაციონალური კულტურის პანთეონიდან ცნობილი მწერლების, სახელოვანი მხატვრების, მეცნიერების და მაღალნიჭიერი მუსიკოსების პორტრეტები. ამ ჟანრშიაც რეპინი თავის იდეებისადმი უაღრესად ერთგულ და პრინციპულ ოსტატად რჩებოდა. — იგი ყველას როდი სთვლიდა დახატვის და ნაციონალური შემოქმედების გალერეიაში მოხვედრის ღირსად. რუსეთის კულტურის დიდ მოღვაწეებთან რეპინი დაკავშირებული იყო ახლო მეგობრობით და ის გატაცებით ხატავდა თავის მეგობრებს, მათ, ვინც რუსულ რეალიზმს მსოფლიო ჰეგემონია მოუპოვეს: ტოლსტოის, ტურგენევს, მუსორგსკის, გორკის. რეპინმა შეგვინახა მარადსახსოვარი სახეები რუსი სახელოვანი მწერლებისა: პისემსკის, სტასოვის, გარშინის. მან წარმოგვისახა რუსული ნაციონალური მუსიკის ფუძემდებლის გლინკას და რუსული სცენიური რეალიზმის მამამთავარის — შჩეპკინის სახეები. რეპინმა დაგვიტოვა მაღალნიჭიერი მსახიობის სტრეპეტოვას ტრაგიკული განსახიერების დოკუმენტი, მუსიკოს ანტონ რუბინშტეინის, მხატვრების — კრამსკოის, გეს, სურიკოვის, სეროვის პორტრეტები. ამათგან მუსორგსკის პორტრეტი მსოფლიო მნიშვნელობის შედევრია.

რეპინმა რუსულ ფერწერას, რუსულ სახვით ხელოვნებას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. 1873 წელს ვენის საერთაშორისო გამოფენაზე და 1878 წელს პარიზში ის გამოვიდა თავის „ბურლაკებით". ფრანგი კრიტიკოსი კლარესი სწერდა, რომ რეპინის სურათში მოცემული საზოგადოებრივი დახასიათება ახალ ჰორიზონტს ხსნის რუსი ხალხის დასანახავად. ცნობილი ხელოვნებისმცოდნე პეხტი აცხადებდა, რომ არც ერთი ხალხის ხელოვნების არც ერთ განყოფილებაში არ მოიპოვება ისეთი მზიური და მართალი სურათი როგორიცაა „ბურლაკები".

რეპინის სახელი მარად ცოცხალი იქნება დიდი რუსი ხალხის ხსოვნაში, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის ხსოვნაში.

ვ. დარასელი

## კავკასიური ნოველები

### 2. მუხა

სოფლის შუაგულში სდგას იგი ზვიადი და თავმომწონე. ზამთარში მხრებზე და გულმკერდზე თოვლი უხვად ეფინება. ზაფხულობით-კი მწვანე ფარჩით იმოსება. შუადღემდე მზეს დაეძებენ მისი ფოთლები. შუადღისას-კი მზე იალბუზს გადმოსცდება, მთებს გადმოივლის და მუხას დააფრქვევს სხივებს. ფოთლები შრიალებენ, იმართება სიმღერა და იგი ტოტიდან ტოტზე გადააქვს მონაქროლ სიოს.

ვინ იცის, რამდენი წლისაა ეს მუხა?, რა ხნისაა? ასეთი ახსოვს ის ყველას. მამა-პაპასაც ასეთი უნახავს. ბუნდოვანად ახსოვს მოხუც ქუთარის ეს მუხა სიყმაწვილის დროიდან. ერთი საუკუნის წინად იყო ეს. მეხი დასცემოდა. ერთ მხარეს ტოტი შემოეგლიჯა, მაგრამ მუხა მაინც მუხად დარჩენილა, ახალი ტოტი შემოზრდია, უფრო ძლიერი, და ახლა აღარც ეტყობა ნამეხარი.

ქუთარის მამა-პაპა მუხის აღმოსავლეთით მარხია. ეს მუხა დარაჯობს მათ საუკუნო ძილს. ამ მხარეში დღესასწაულს ამ მუხის ქვეშ ატარებენ. ათასი მხედარი მოიჩრდილებს და წვიმასაც თავს აარიდებს. ფართოდ გაშლილი მისი ტოტები ხალხის ყრილობის თავსახურავია. რამდენი თემის ლოცვა გადახდილა აქ, როდესაც გვალვა ახმობდა მთასა და ბარს. რამდენი მაისობა ახსოვს ამ მუხას, ამ ხეს, ამ უტყვ მოწმეს მრავალი თაობის სიცოცხლისა.

დაუბერავს საღამოობით ქარი, ტოტი ტოტს შეეხლართება, დაიწყებენ ტკაცანს. ფრინველს აკრთობს, მაგრამ ეს სიმღერაა მისი, ალერსია და ლოცვა.

დღეს-კი არ გაგონილი ქარიშხალი ამოვარდა. სადღაც მძლავრად დაიქუხა და ავარდნილმა ცეცხლმა ტოტები შეულახა.

ყველაზე მეტად ქუთარი შეკრთა. მოვიდა მთელი სოფლის უხუცესი ადამიანი და შეხედა მას.

— ვინ ჩაიდინა?—თითქოს დაიბღავლაო ქუთარიმ.

— მტრებმა,—უპასუხეს შვილიშვილებმა.

შეიშრიალეს მუხის ფოთლებმა და უხუცეს ადამიანს ნუგეში სთხოვეს.

მოხუცი მუხლებზე დაეშვა, თვალები ზე აღაპყრო. ლოცვა იყო მისი ნუგეში.

* * *

ამბობენ სოფლად ორად-ორი არსებაა, რომელნიც ვერ შეარყია ცხოვრებამაო. მაგრამ დღეს მუხას ყუმბარამ ტოტები შემოამტვრია, ხოლო ქუთარის ელდა ეცა, როცა გაიგო, რომ შორეული ქვეყნიდან წამოსული ურჯუკები — გერმანელები — წალეკვას უპირებენ მთასა და ბარსაო.

აგერ, მთას მოადგნენ ისინი. მთას კი არა, უკვე სოფლამდის მოაღწიეს.

— ქუთარი, უნდა გავიხიზნოთ,—გაუბედეს მოხუცს.

— აბა, სცადეთ, თუ დასძრავთ მუხას,— უპასუხა ქუთარიმ.

— მუხა რა შუაშია, ბაბუ?

— როგორც მუხას მიწაში ღრმად უდგია ფესვები და მდინარეც-კი, რომელიც მის ნაპირს ეჯახება, ვერაფერს აკლებს, ისე მე მაქვს ღრმად გადგმული ფესვები ამ მიწაში. საქართველოს მიწაზე უბედურება არ მოხდება. ის ღვთით კურთხეულია, მან ისეთი შვილები გამოზარდა, რომ არ განიწირება. სად არ არიან გადგმული ჩემი ფესვები? მუხაზე უფრო შორს გაშლილან ჩემი ტოტები. ჩემი მამა-პაპა, ჩემი წინაპრები აი აქ მარხიან. ჩემი შვილთაგან ერთი ქალაქს აშენებს, მეორე სოფელს მეთაურობს. ჯავშანასხმული შვილიშვილები რუსეთის მიწა-წყალზე მოყვრებთან ერთად სამშობლოს იცავენ. აი ეს არის ჩემი ფესვები: გახედეთ სოფელს...

და, მართლაც, იმ ფერდობიდან, სადაც მუხა იყო აღმართული, ხელისგულივით მოსჩანდა სოფელი. ომის ქარცეცხლით შეძრწუნებული მოსახლეობა დარბოდა, დაფუსფუსებდა, გზას ეძებდა თავის გადასარჩენად, მაგრამ მშობლიური კერისა და სახლკარის მიტოვება გულს უკლავდა.

— არა, მე აქედან არსად არ წავალ.

ქუთარი მუხას შემოეხვია. ვერ შემოსწვდა ხელებით მის სიმსხო-სიდიდეს, მაგრამ ისე ჩაიკრა გულში, თითქოს მუხის ეს ხმელი კანი კი არ უჩხვლეტდა მკერდს,—რბილად და ნაზად ეკარებოდა.

— არ წავალ. როგორც ამ მუხას ვერ მოთხრით და ვერ გახიზნავთ, ისე მე ვერ გამხიზნავთ აქედან, ვერა...

* * *

ამ კაცს ქუთარი პირველად ხედავდა, მაგრამ მაინც იცნო. ხშირად გაუგონია მისი სახელი, ლექსებიც უმღერია მასზე, გულშიც უფიქრია, გასაჭირის დროს მოხუცს სასოებით უხსენებია და შვება უგრძვნია. ნათელი თვალით შეხედა მას და იცნო... ეს ხომ ის არის, ვისი სურათიც კედელზე უკიდია. ის არის, ის... ბელადს გამოუგზავნია, კავკასიას შეუნარჩუნე გული და სულიო.

მთაში მოვიდა.

მოვიდა ისე, როგორც სანატრელი იმედი. უბედურებას კარი უნდა გადაურაზოს.

— ნუ გეშინია მთაო, ქუთარი,—უთხრა მან მოხუცს, რომელიც მუხის ქვეშ თავდახრილი იჯდა და სდუმდა. გული უდუღდა:—წითელი არმია მზად არის შეებას მტერს. გვყავს დიდი მოყვარე, რუსი ხალხი, რომელიც გვერდში გვიდგას.

— ექვსთავიანი მდევები მოდიან...

ღრმად ჩაისუნთქა ქუთარიმ და მხსნელად მოვლენილს მოუყვა ამბავს, რომ მტერს ექვსლულიანი იარაღი აქვს, რომელიც სწვავს და ბუგავს ყველაფერსაო.

— ნუ გეშინია, ქუთარი: თორმეტთავიან დევებს შებმიან ჩვენი ვაჟკაცები. ზღაპარში თქმული ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან არის შექმნილი. ახლაც ასეა. ექვსლულიანს რა შეუძლია, როდესაც ბელადმა მიბრძანა საქართველო, კავკასია გადავარჩინო.

ეს იყო იმედი, იმედი, კარზე მომდგარი.

ქუთარის სახე გაუცისკროვნდა, მაგრამ წასვლაზე მაინც უარს ამბობდა.

— აქ ვიქნები, რას მიზამენ ასი წლის მოხუცს?

— მძევლად დაგტოვებენ. მოხდება რამეიდა ამ მუხაზე ჩამოგკიდებენ. დასამალავად კი არ გაიხიზნები,—პირიქით. მთიდან სანადიროდ ჩამოხვალ ხოლმე, რომ ვიდრე წითელი არმია შეტევაზე გადმოვა, მტერმა არ გაიხაროს. პარტიზანებით გაივსება კავკასიონი. მაშინ მძევლებზე დაიწყებენ შურისძიებას.

სჯერა ამ კაცისა მოხუცს. გადაეხვია, გადაჰკოცნა, თვალებში ჩახედა და უთხრა:

— ჩვენი მზისა და ჩვენი სამშობლოს მადლი ვაცხია. ამიტომ არის, რომ ისევ შენ მოევლინე იმედად და მხსნელად...

მერე მოხუცი მუხას მიუბრუნდა, დიდხანს უყურა, გულში ილოცა. ბოლოს ისე მწარედ ამოიკვნესა, თითქოს მისი მკერდით ამოსულმა ჰაერმა შეაშრიალაო ათასწლოვანი მუხის ფოთლები.

— შენ მუხა კი არა ხარ, უბრალო ხე, შენ სინათლე ხარ ჩემი ერისა.

მოხუცი ესაუბრა მას, როგორც ადამიანს, ცოცხალ არსებას. ილოცა მის ქვეშ, ცრემლიც დაღვარა. ვერ შორდებოდა.

მანქანაში ჩასვეს.

— არა, ფეხით წავალ. ასე უცბად ნუ მომწყვეტთ ჩემს მშობლიურ მიწას,—ითხოვა ქუთარიმ. მაგრამ არ დაეთანხმნენ.

სადღაც დაიგრიალა. მხურვალე ცეცხლად წამოვიდა ყუმბარა და კიდევ ერთი ტოტი შეალეწა მუხას. მოხუცი მანქანიდან გადმოვიდა და ქვითინით მიწას განერთხო.

* * *

რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ!

მტერმა ვერ გაუძლო წითელი არმიის შეტევას და კავკასიონის ქედს მობღაუჯებულმა კლანჭები დაიგლიჯა, ხრამებში დაიწყო გადაჩეხა. არც იქ მისცეს მოსვენება. წითელი არმიის შეტევა ვერავითარმა ძალამ ვერ შეაკავა. პარტიზანები დაბრუნდნენ მთიდან.

არწივებიც დაუბრუნდნენ ბუდეებს. ჯიხვები და ქურციკები, უღრან ტყეებში რქებს რომ იმტვრევდნენ, კვლავ მოეფინენ ნაცნობ ადგილებს.

ბრუნდებოდნენ ადამიანებიც. მაგრამ სად უნდა დაბინავებულიყვნენ, არ იცოდნენ. მტერმა გადასწვა სოფელი, ყველაფერი წალეკა, გადაბუგა. გახიზნულები მთებიდან ხედავდნენ სოფელში ავარდნილ ცეცხლის ალს, რომელიც ქარიშხალს მაღლა აჰქონდა და თაკარა ცას სწვდებოდა. მათ გაიგეს, რომ სოფელში ხეც კი აღარ იდგა, რომელსაც ცეცხლი არ წაჰკიდებოდა ან ყუმბარასა და ნაღმს არ დაელეწა.

მუხა, მუხა როგორ არის? როგორ არის მთის დიდება?

აი ბრუნდებიან გახიზნულები. მათ შორის სწრაფად მოაბიჯებს ქუთარი. გაყმაწვილებულა. გული ისე უცემს, თითქოს მკერდში წისქვილის ქვა უტრიალებსო. მოდის მოხუცი, მის მთებს სიო ესალმუნება. თეთრი, მკერდამდე ჩამოსული წვერი აბრეშუმის ძაფებივით უბრწყინავს.

— მუხა, მუხა?

მისი გული ელის ან სიხარულს, ან მწუხარებას.

აგერ გორაკი. ამ გორაკს რომ გადაივლის, მუხასაც დაინახავს და თუ ის კვლავ დგას, მერე სიკვდილიც ადვილია მისთვის.

მოხუცი ჯიხვივით ავარდა გორაკზე. ამოვარდნილმა ქარმა შეარხია მისი ჩოხის კალთები. შესდგა. როგორც ქვიტკირის ციხე, ისე მოსჩანდა იგი ამ მწვერვალზე. ხმამაღლა დაიძახა:

— მუხა?!

მისი ხმა ქარმა გაიტაცა და ხეობას გადასცა. ხევმა მთაზე ააფრინა, ხოლო მთამ მთას გადასძახა:

— მუხა?!

მუხა ისევ ისე იდგა მბრძანებელივით. მხოლოდ მის ირგვლივ სოფელი აღარ იყო. არა სჩანდა არც ერთი სულდგმული. ბუჩქებიც კი გადამწვარი და გადაბუგული იყო. ხიზანი ხალხი სოფლისაკენ მირბოდა და სწყევლიდა იმ ხელებს, რომელმაც ცეცხლს მისცეს მათი დოვლათი.

მხოლოდ ერთი ქუთარი მიდიოდა დინჯად და მხნედ. როდესაც მუხას მიუახლოვდა, დაიჩოქა მის წინ, როგორც სასოების წინაშე, დაკოჟრებული ხელები აღაპყრო და ყველას გასაგონად წარმოსთქვა:

— ჩვენ კვლავ ვცოცხლობთ, დიდო მუხავ, მტერმა ვერ დაგვძლია.



ი. ე. რეპინი. ავტოპორტრეტი.

ალექსანდრე ქუთათელი

## ორი წერილი

I

იმ გაზაფხულზე ჰყვაოდა კომში,
მე ვაჟღერებდი ვარციხის ჩონგურს.
მერე შენ მალე წახვედი ომში,
შაშხანით დახვდი დუშმანს და ორგულს.
ვიცი, ბრძოლაში შენ ხარ ლომგული,
დროშად მიგიძღვის ბელადის რწმენა,
ჩემი უჟღნობი გრძობის ჩონგური
და სიყვარულის მეტყველი ენა.
კაცის მაგიერ ვხნავდი, ვთესავდი.
ქალი დაფასდა ერთი სამადა...
გელის სამშობლო, შენი ფერსათი,
ომგადახდილო გმირო, თამადა.
გული სავსეა შენი ტრფიალით,
ვით საფერავით სავსე ფიალი.

II

ვიცი მრთელია შენი ჩონგური,
თუმცა დაგტოვე ფერსათში ცალად.
ტრფობა, ვით ციხის მტკიცე ქონგური,
კვლავ მიასკეცებს ბრძოლაში ძალას,
გუშინ გავაღეთ ვარშავის კარი,
ბობოქრობს ომი უმაგალითო.
ჯანღაბის იქით იხევს მტრის ჯარი,
გააქვს ჯახანი ჯავშანს და ლითონს.
წინწინ მიიწევს ბრძოლის უბანი,
მივწვდით კარპატის მწვანე მთაგორებს,
მთა აღმართულა, როგორც შუბანი
და მთის სოფელი ფერსათს მაგონებს...
კურთხეულ იყოს ვაზი ბოლდათის
და ხანისწყალის რბენა მარადის!

მაყვალა მრევლიშვილი

## აპრილის ეტიუდები

შემხვდები, ელვა დამკრავს უჩინრად,
ნაბიჯს ამირევს დანახვა შენი,
გულს რომ სიმდიდრე გადაურჩინა,
იმ ნათელს—შენი სახელი ჰშვენის.
ადრე აფეთქდა ნუშის ყვავილი,
თეთრი ნამქერი დასცვინდა კიდეც,
მე შენს ქუჩაზე ფრთხილად გავივლი,
ფიქრებს მოვაბნევ პატარა კიბეს.
თამაშობს გული, სიშორის რული
ჰხიბლავს და ლტოლვა არა სწყინდება,
სიმღერა შორით წამოწყებული
გზების ძებნაში დაიწმინდება.
სხვა სიახლოვე არ მინდა შენგან,
იმედის ბელგად მქონდეს მხოლოდ ეს,—
ქვეყნის სიწმინდის მევედრედ შემდგარს,
ჩემი მარჯვენა გვერდით გყოლოდეს,
რომ სვეტიცხოვლის ჩუქურთმის ჯაგნებს
მტერმა მარცვალიც ვერ ჩამოსწყვიტოს,
ვიცი, სიხარულს მაშინ მივაგნებ
და შენი გულის მიმალულ ხვითოს.
შემხვდები, ელვა დამკრავს უჩინრად
ნაბიჯს ამირევს დანახვა შენი,
გულს რომ სიმდიდრე გადაურჩინა
იმ განცდებს შენი ლაზათი ჰშვენის.

* * *

გვიანი ღამით, ქალაქს რომ სძინავს,
მუშაობ ისევ, დილამდე ფხიზლობ,
შუქ-დაგუბებულს, შენს მყუდრო ბინას,
ვესტუმრები, მაშინ შემოვეხიზნო.
შენს უნებურად, გვერდით ვიქნები,
მივაღწევ ნატვრას, თუნდა ასს ამდენს,
მხოლოდ ოცნებით, მხოლოდ ფიქრებით,
ცისკრის მტრედისფრად ფრთების გახსნამდე.
ავდრის ხმაური გესმა გარედან?
აპრილის წვიმის თბილი შხეფებით
მინდვრები,—ველი მოვიარე და
სველი თითებით მინებს ვეხები.
ახალ მთვარეზე თუ თრთიან რტონი,
ჩრდილით, სარკმელზე ღამის მთევლებით,
მე და ქარი ვართ, მარტოდ-მარტონი,
კედლებს მხარ-გაშლით შემოვევლებით.
გადასწი თავი, შრომით დაღლილი,
წუთით თუ იგრძნობ სიამეს რასმე
მე შენს ბინად ვარ, შორით დახრილი
ყრმობის მინაგვარ სიმღერას გასმენ.
შენს უნებურად ერთად ვიქნებით,
მივაღწევ ძალას, თუნდაც ას ამდენს
ჩემო კეთილო, მხოლოდ ფიქრებით,
ცისკრის მტრედისფრად ფრთების გახსნამდე.

* * *

კვირტებს სიმღერა არ ეხერხებათ,
ტოტზე ამომსხდრებს ვიწრო კაბაში,
ჟუჟუნა წვიმა დაჰკრავს შხეფებად,
მყისვე გადაშლის სიოს თამაშით.
გალაღდებიან, სურნელს აფრქვევენ,
ფიფქის ქოლგები გადაჰხურვიათ,
ვარდის, თოვლისდარ ყვავილთ სარქველით,
თვითეულ ხეზე გაზაფხულია.

* * *

მაისში მეთქი,—
შეხვედრას გთხოვდით,
აი, მაისის სუნთქვა გაისმა.
რა მალე მოჰქრის
გადავდოთ მოდი,
ისევ გაისად!
შემოდგომაზე ადვილი არის,
მოლოდინი და ფიქრი მაისზე,
თუ მზის აისებს
ჰკონავ წადილით,
უმაისოდაც უბეს აივსებ
მაისში,—მეთქი,—მოსვლა გენებოთ!
აი მაისის სუნთქვა გაისმა
განა წლევანდელს მოგახსენებდით,
მერმის მაისსა!

აპრილი. 1944 წ.

პროფ. მოსე თოიძე

# დაუვიწყარი საღამო

## მოგონება რეპინზე

ილია ეფიმის-ძე რეპინი მეტად თავდაჭერილი კაცი იყო. არ უყვარდა ქება-დიდების მოსმენა. ცდილობდა შეუმჩნეველი ყოფილიყო. მაშინ როდესაც სხვა უფრო ნაკლებად ნიჭიერი მხატვრები საკუთარი რეკლამისათვის, თავის გამოსაჩენად აწყობდნენ საღამოებს და იუბილეებს, რუსული სახვითი ხელოვნების მესვეური რეპინი თავმდაბლობას იჩენდა და ერიდებოდა ყოველგვარ გახმაურებას.

აკადემიაში ჩემი ყოფნის დროს 1895 წელს ხმა გავრცელდა რეპინის შემოქმედების 25 წლის აღსანიშნავი იუბილეს მოწყობის შესახებ. ჩვენ, სტუდენტებს, მის მოწაფეებს ძალიან გვიხაროდა ეს ამბავი. იმედი გვქონდა, რომ გულში დაგროვილ მისდამი სიყვარულის და პატივისცემის გრძნობას თავისუფლად გამოვსთქვამდით.

მაგრამ რა მოხდა? ი. რეპინი საიუბილეოდ დანიშნულ დღეს სადღაც გაქრა, სახლში არ აღმოჩნდა და საიუბილეო დღესასწაულიც ჩაიშალა. სტუდენტობა ამას ვერ შეურიგდა. მოვინდომეთ ჩვენ თვითონ მოგვეწყო პატარა ზეიმი აკადემიაში. შოვამზადეთ ვახშამი, სახლებიდან მოვიტანეთ სუფრები, ჭურჭელი... და სამოცამდე სტუდენტი წავედით პროფესორის მოსაყვანად. თურმე წინასწარ შეეტყობინებია ეს ამბავი რეპინისთვის მის შვილად აყვანილ სტუდენტს ვეშჩილოვს. მივედით, კარები დაკეტილი დაგვხვდა. ვარახუნეთ უშედეგოთ. მეტი გზა არ იყო, სხვა ხერხისათვის უნდა მიგვემართა. ჩამოვედით დაბლა სართულში და მთელი საათი ჩუმად კიბის ქვეშ მიმალულნი ვისხედით. ჩვენგან ერთი ყველაზე გაბედული და ღონიერი ავიდა რეპინის კარებთან და წყნარად დარეკა. მოსამსახურემ კარი გააღო თუ არა, სტუდენტი შეიჩხირა კარებში და დაიძახა: „ილია ეფიმოვიჩი აქ არისო" ჩვენ ყველანი ჟრიამულით გავექანეთ, შევცვივდით, ვსტაცეთ ხელი ჩვენს პროფესორს ზოგმა ილიაში, ზოგმა ფეხებში და ერთი წუთის შემდეგ გაფითრებული, ნაცრისფერი ილია ეფიმოვიჩი ჰაერში მაღლა ავიტაცეთ. როცა დაუშვით ძირს, თვალებზე ხელი მიიფარა, ცრემლების დასამალავად და თითქოს დარცხვენილმა თავი ჩაღუნა.

ჩვენ ერთხანს თითქოს შევშინდით, მაგრამ ამხანაგებმა ხუმრობის და ბოდიშის კილოთი მიმართეს: „ახლა ჩვენო საყვარელო ილია ეფიმის ძევ, ჩვენი ტყვე ხართ. ცოტა ხნით ჩვენთან უნდა წამობრძანდეთ." დიდის კრძალვით წამოვიყვანეთ იმ სახელოსნოში, სადაც გვასწავლიდა, იქ სადაც მომზადებული გვქონდა გაშლილი სუფრა.

ილია ეფიმოვიჩი ჯერ სდუმდა, ხოლო შემდეგ მოგვმართა ისეთი სიტყვებით, რომლის მსგავსი არასოდეს, არავისგან არ მოგვესმინა:

— რა ნიჭიერი ხალხი ხართ ჩემო მეგობრებო, მე პედაგოგი არა ვარ, მაგრამ არ ვნანობ, რომ ასეთი ბედნიერი საქმე ვიკისრე, მე უძლურად ვგრძნობ თავს გამოვსთქვა ის კმაყოფილების გრძნობა, რომელმაც ჩემს გულში დაისადგურა. მე მხატვარმა თუ ვერც კი მოვასწრო იმის ნახევრის გაკეთება რაც შემეძლო მაინც ბედნიერ ღიმილით, კმაყოფილი ჩავალ სამარეში, თუ თქვენთვის, ახალგაზრდობისათვის ცოტა მაინც სარგებლობას მოვიტან, მე მწამს და მჯერა რუსეთის მომავალი. მე მწამს სიმართლის საბოლოო გამარჯვება. ჩვენი ხელოვნება — და მხატვრობა ბუნებით ინტერნაციონალურია. იგი საერთო ენაა ყველა ერებისთვის. და პირველყოვლისა ჩვენ მხატვრებმა უნდა ვსთქვათ სიმღერა მომავალი თავისუფლებისა და ერების ურთიერთ სიყვარულის ჰანგებით აღვსილი".

ამ სიტყვებმა ყველა გაგვამხნევა, ყველას კეთილშობილი გრძნობები გაგვიღვიძა. დაიწყო სადღეგრძელოები, კეთილი სურვილების გამოთქმა ურთიერთისადმი. იქ იყვნენ რუსეთში მცხოვრები, ყველა ეროვნების სტუდენტები: რუსები, უკრაინელები, პოლონელები, უზბეკები, თურქმენები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქართველები, ებრაელები და სხვ. თავიანთი ეროვნული თავისებურობა სტუდენტობამ გამოამჟღავნა ხალისიან ცეკვებში, რასაც რეპინი ხალისიანი ღიმილით შესცქეროდა. როცა გახურდა ცეკვა და დაიწყო მეგობრული შეჯიბრი, როცა მეტმა ნაწილმა სტუდენტობისამ თავგამოდებულად გვიჩვენეს თავიანთ ხალხთა ცეკვის საუკეთესო ნიმუშები: ტრეპაკი, პოლკა, ძველი ებრაული, და სხვა, ილია ეფიმოვიჩმა გადმომხედა და მანიშნა. თქვენი უმორჩილესი მონაც გავარდა შურდულივით წრეში. გავშალე ხელები, დაუარე, გაუსვი და დავტრიალდი ფეხის ფრჩხილებზე. გათენებამდის ვიმხიარულეთ და შემდეგ კმაყოფილი ილია ეფიმოვიჩი დიდი მოკრძალებით მის ბინაზე მივაცილეთ.

ასეთი იყო ეს პატარა საღამო, დაკავშირებული დიდ ადამიანთან.



რეპინი—კაზაკის პორტრეტი. ინახება თბილისში, რადკევიჩის კოლექციაში. ქვეყნდება პირველად.



[illegible]

იორამ მაჩაბელი

# ერთი დღე პენატებში

[illegible]

...ლოსნო ოთხკუთხედი ფორმისა იყო, სახელოსნოში მხატვარს შეეძლო დასაწევი ფარდების საშუალებით თავის ნებისმიერად დაეყენებინა სურათისათვის საჭირო სინათლე. სახელოსნოში იდგა დიდი ზომის მოლბერტი, ფერების ყუთი, იქვე ეწყო სხვადასხვა ზომის ყალმები, იქვე ჩანდა პალიტრაც, რომელზეც გაარჩევ-

[illegible]

დღეს ამ დიდი ადამიანის, რუსი ხალხის საამაყო შვილის ილია რეპინის სახლი—მუზეუმი დამწვარი და დანგრეულია გერმანელ-ფინელ ოკუპანტების მიერ. ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი ძვირად დაუსვამს მტერს დიდი რუსი შემოქმედის სახლ-მუზეუმის შეგინებას.

შალვა ალხაზიშვილი

# ილია რეპინი და ივანე თარხნიშვილი

რუსი და ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების ერთმანეთთან მეგობრობა იშვიათი მოვლენა არ იყო ძველ დროში. საკმარისია დავასახელოთ: ა. გრიბოედოვი და ალ. ჭავჭავაძე, ნ. ჩერნიშევსკი და ნ. ნიკოლაძე და სხვ. რუსულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფურცელი უკავია აგრეთვე დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის და მსოფლიო სახელის მქონე ქართველი მეცნიერ-ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილის მეგობრობას.

ჯერ კიდევ 1892 წელს ილია რეპინი ხატავს ივ. თარხნიშვილის პორტრეტს. იგი გატაცებულია ამით: „საყვარელო ივანე რომანის ძევ!" — სწერს ი. რეპინი 1892 წ. 3 მაისის წერილში: „გელოდებით ხვალ 2 საათისათვის. თუ არ გეცლებათ შემატყობინეთ... მოკითხვა მარიამ მიხეილის ასულს და ტატიანა ივანეს ასულს. თუ ისინიც მობრძანდებიან, ძალიან მოხარული ვიქნები". ამ წერილში დასახელებული მარიამ მიხეილის ასული მანასეინა ივ. თარხნიშვილის პირველი ცოლია, ექიმი-ნევროპატოლოგი. ტატიანა ივანეს ასული კი მათი ქალი. ი. რეპინს, როგორც პორტრეტისტს, ახასიათებდა ის თვისება, რომ შეიყვარებდა ხოლმე იმ ნატურას, რომელზედაც იგი მუშაობდა. ასე მოხდა ივ. თარხნიშვილის მიმართაც. „სულ იმაზე ვოცნებობ", — სწერს ი. რეპინი 1906 წ. ივლისში კუოკალადან, „როგორმე, ერთი საღამო წაგართვათ... რომ თქვენი მომხიბლველი თავი ნახშირით მოვხაზო". რამდენიმე წლის განმავლობაში ილია რეპინი რამდენჯერმე ხატავს ჩვენს აკადემიკოსს. არსებობს ივ. თარხნიშვილის სამი შესანიშნავი პორტრეტი ილ. რეპინის მიერ დახატული: 1892, 1895 და 1906 წლებისა. უკანასკნელი პორტრეტის შესახებ პროფ. ივ. გრაბარი აღნიშნავს, რომ იგი „საუცხოვოა საღებავთა გამით და ფერადების სიუხვით", სადაც მოცემულია კავკასიური ტიპის „ლამაზი, შავგვრემანი სახე."

ივანე თარხნიშვილი (1846-1908) აკადემიკოსი, ფიზიოლოგი, მრავალ სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის აღსანიშნავია წიგნი „ადამიანზე მუსიკის გავლენის შესახებ". იგი ცნობილ მეცნიერის ი. სეჩენოვის (1829-1905) და კლოდ ბერნარის (1813-1878) მოწაფე იყო. მაგრამ მისი საზოგადოებრივ-კულტურული ინტერესები არ განისაზღვრებოდნენ მხოლოდ მეცნიერების ვიწრო რკალით. ფართო განათლების ადამიანი, ივ. თარხნიშვილი ღრმად დაინტერესებული იყო საზოგადოებრივი მეცნიერებით, ხელოვნების და ლიტერატურის მრავალნაირი საკითხებით. ივ. თარხნიშვილმა დაამთავრა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, შემდეგ 1869 წელს სამედიცინო-ქირურგიული აკადემია. 1872 წელს მივლინებული იყო საზღვარგარეთ, სადაც ორი წლის განმავლობაში სწავლობდა სტრასბურგში და პარიზში. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ ლექციებს კითხულობდა ჯერ სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, შემდეგ სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, სადაც პროფესორობდა 20 წლის განმავლობაში.

ივ. თარხნიშვილის გატაცება ხელოვნებით და ლიტერატურით უფრო მეტად გაღვივდა, როდესაც მან პირველი ცოლის სიკვდილის (1903 წ.) შემდეგ, 1905 წელს შეირთო ელენა პავლეს ასული ანტოკოლსკაია, რომელიც ცნობილ მოქანდაკის მარკ ანტოკოლსკის (1893-1902) ძმისწული იყო. ის 80-იან წლებში სწავლობდა პეტერბურგში ფიზიოლოგ ი. ტიბულსკისთან, შემდეგ ექიმის რჩევით, დაიწყო ქანდაკებაზე მუშაობა ი. გინცბურგთან. ცნობილ ხელოვნებათ-მცოდნე ვ. სტასოვთან გაიცნო ი. რეპინი და ივ. თარხნიშვილი, რომელთანაც ძალიან დამეგობრდა და ბოლოს მისთხოვდა კიდევაც უკანასკნელს. მათ სახლში პეტერბურგში ხშირად იკრიბებოდნენ იმდროინდელი მოწინავე საზოგადო მოღვაწენი და ხელოვნება-ლიტერატურის გამოჩენილი ადამიანები: ვ. სტასოვი (1824-1906) — მხატვრობის და მუსიკის გამოჩენილი კრიტიკოსი; ა. კონი (1844-1927) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელიც მეგობრობდა ნეკრასოვთან, დოსტოევსკისთან, ტოლსტოისთან, ვ. ბეხტერევი (1859-1926) —ცნობილი ნევროპატოლოგი და ფსიქიატრი და სხვ. ივ. თარხნიშვილის სახლში ხშირად იმართებოდა კამათი და დისკუსია ხელოვნების და პოლიტიკის საჭირბოროტო საკითხებზე.

ივ. თარხნიშვილის მეორე ცოლი ელენა პავლეს ასული ანტოკოლსკაია — თარხნიშვილი (1868-1932) დიდი კულტურის და შესანიშნავი ხასიათის ადამიანი იყო. მან დიდი როლი ითამაშა ილია რეპინის ცხოვრებაში ჯერ ერთი იმით, რომ მისი უშუალო ჩარევით ილ. რეპინი და ვ. სტასოვი — ეს ორი დიდი მეგობარი, ხელახლა შერიგდნენ, ხუთი წლის განხეთქილების შემდეგ, და მეორეც იმით, რომ ე. პ. ანტოკოლსკაია — თარხნიშვილი ერთადერთი ადამიანი იყო, რომლის საშუალებით ფინეთში მყოფი ი. რეპინი დაკავშირებული იყო თავის სამშობლოსთან.

რუსული ხელოვნების ისტორიის მეტად საინტერესო ფურცელია ვ. სტასოვის და ი. რეპინის განხეთქილება. ჩვენთვის ეს მით უფრო საინტერესო უნდა იყოს, რომ ამ განხეთქილების თავიდან აცილებაში და მეგობრების შერიგებაში უშუალო მონაწილეობას იღ-

(დასასრული მე-4 გვ.).



კომპოზიტორი ბოროდინი. სურათი შესრულებულია რეპინის მიერ.

პროფ. უჩა ჯაფარიძე

# რეპინის მუშაობის სტილი

„გენიალური ნიჭიერების შემთხვევაშიაც კი მხოლოდ დიდი შრომით შეიძლება ხელოვნებაში მიღწეულ იქნეს ფორმის აბსოლუტური სრულყოფა. შრომის ასეთი უბრალო მოთხოვნილება შეადგენს ყოველი გენიოსის დასაყრდენს. დიდად ნიჭიერნიც კი „საზღვარ მიუწვდომელ ხელოვნებაში" ვერ ასცდებიან ცალმხრიობას, უკიდურესობას, ზედმეტ სიმკვეთრეს, მეორე ხარისხოვნობამდე დაქვეითებას, თუ კი ისინი დაჯილდოვებულნი არ არიან ხელოვნებისადმი თავდავიწყებული მინდობის მგზნებარებით".— დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის ამ სიტყვებში გამოხატულია რეალისტური შემოქმედის მრწამსი. რეპინი მთელი თავის არსებით, თავდადებით და თავგანწირვით შრომობდა მშობლიური ხელოვნების ამაღლებისა და სრულყოფისათვის.

ჩუგუევის სახელოსნოდან დაწყებული კუოკალას „პენატებამდე" რეპინი არასდროს არ დანდობია არც მარტოოდენ თავის ნიჭს და არც თავის დახვეწილ ოსტატობას. მხატვარი სახელოსნოში და ჰაერზე ხანგრძლივი, თავაუღებელი, ყოველდღიური მუშაობით აღწევდა სურათის დედააზრის ნათლად გამოხატვას სრულყოფილ ფორმაში.

დიდი რეალისტის რეპინის შემოქმედება გამოირჩევა მაღალი იდეურობით. ყოველ ნაწარმოებში ის თავისი დროის, თავის ხალხის მოწინავე იდეებს გამოხატავდა. მან კარგად იცოდა, რომ სურათის იდეა მხოლოდ მაშინ იძენს ზეგავლენის დიდ ძალას, როდესაც ის სრულყოფილ მხატვრულ ფორმაშია ხორცშესხმული. რეპინი სწერდა: „ქაოსში არ იგრძნობა სივრცე. ფორმის გარეშე არ არსებობს სილამაზე. იდეის გარეშე ვერ შეიქმნება დიდი მხატვრული ნაწარმოები".

რეპინი შთაგონებას პოულობდა ხალხის ცხოვრებაში. ხალხში ყოფნით, ხალხის ცხოვრების ცოდნით შექმნა მან რუსული ხელოვნების გალერეის დამამშვენებელი სურათები: „ბურლაკები", „ლიტანია კურსკის გუბერნიაში", „არ ელოდნენ", „ზაპოროჟიელები" და სხვ.

1868 წელს რეპინმა ნევაზე პირველად ნახა ბურლაკები, რომლებიც პირუტყვებივით შებმულნი ნაპირზე ეწეოდნენ ორჩხომელს („ბარკასს"). ნახულმა არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დასტოვა მხატვარზე. ამ დღიდან ის გამუდმებით ადგენს მონახაზებს. ხატავს მთელ ჯგუფებს ან ცალკეულ ბურლაკებს. მხატვარი უკვე თემით დაინტერესდა. დაიწყო მასალების ძებნა. რეპინმა შეიტყო, რომ ბურლაკის ნამდვილი ტიპი ვოლგაზე მოიძებნება და სასწრაფოდ გაემგზავრა ადგილზე.

საინტერესოა თვით ის ამბავი, თუ როგორ პოულობდა მხატვარი ამორჩეულ თემისათვის შესაფერ ნატურას. პირველად მხოლოდ შორიდან აკვირდებოდა ბურლაკებს, ტიპაჟს, დამახასიათებელ მოძრაობებს და მათ კოლორიტს. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მან იპოვა ისეთი დამახასიათებელი ტიპი, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა მის შთანაფიქრს, ის ყოვლის გადამლახველი ნებისყოფით შეეცადა ამ მოდელის ფიქსირებას ტილოზე. ეს ბურლაკი კანინი თავისი ცრუმორწმუნოების გამო გაურბოდა მხატვარს, ეგონა—რაკი დახატავდენ, მის სულს ანტიქრისტე დაეუფლებოდა. მაგრამ რეპინი არ მოეშვა და ბოლოს დასწერა კიდეც მისი ეტიუდი. მხატვარი სწერდა კანინს მთელ დღეს და ეს ეტიუდი დაედვა საფუძვლად „ბურლაკების" ცენტრალური ფიგურის შექმნას.

როდესაც რეპინი 1871 წელს მრავალი ეტიუდით გამდიდრებული დაბრუნდა პეტერბურგში გამუდმებით მუშაობდა „ბურლაკებზე". მრავალი ვარიანტით მან თანდათან დააზუსტა კომპოზიცია. მაგალითად პირველ ვარიანტებზე სურათის პეიზაჟში ჩანდნენ მწვანე გორაკები ვოლგის გასწვრივ, მაგრამ შემდეგ ეს დეტალი მხატვარმა სრულიად მოშალა, ამით სივრცე გაიშალა, გადიდდა და სურათმაც დიდად მოიგო.

1872 წელს რეპინმა გამოფინა „ბურლაკები", მაგრამ ამავე ზაფხულს ისევ გაემგზავრა ვოლგაზე ახალ შთაბეჭდილებათა მისაღებად და დაწერილ სურათის სიმართლის შესამოწმებლად. ამის შემდეგ რეპინმა კიდევ ორი წელი იმუშავა ამავე ტილოზე და ხელახლად მთლიანად გადასწერა სურათი. სტასოვი ადარებდა რა საბოლოოდ დამთავრებულ სურათს მის პირვანდელ გამოფენილ ვარიანტს, სწერდა: „ორი წლის წინათ ეს სურათი რამდენიმე დღეს გამოფენილი იყო და ყველანი, ვინც ის ნახა, განცვიფრებაში მოიყვანა. მაგრამ ის მაშინ მხოლოდ ესკიზად სჩანდა. ამის შემდეგ სურათმა დიდი ცვლილება განიცადა; თითქმის ყველაფერი ახლა ამ სურათში გადასწორებული და შეცვლილია, ამაღლებული და სრულქმნილია, ასე, რომ პირვანდელი ქმნილება სწორედ ბავშვია ეხლანდელთან შედარებით. მოკლე ხანში მხატვარი მომწიფდა და დავაჟკაცდა, ახალგაზრდული შთაგონებიდან მან უკუაგდო ყოველივე, რაც მასში მოუმწიფებელი და ფესვმოუკიდებელი იყო. ახლა ეს ტილო იქცა ისეთ სურათად, რომელსაც თითქმის ვერ გაუტოლდება ბევრი რამ იქედან, რაც რუსულმა ხელოვნებამ შექმნა".

სამი წლის ასეთი თავაუღებელი შრომით, მუშაობის სწორი წარმართვით, ნატურის ადგილზე სამგზის გამგზავრებით და შესწავლით რეპინმა მოიპოვა „ბურლაკების" ცხოვრებიდან მხატვრისათვის აუცილებელი მასალა ამომწურავი სისრულით. მრავალ ვარიანტზე დაუზარებელმა მუშაობამ და ტიპიური სახეების გამოძერწვამ შექმნა ისეთი სრულყოფილი სურათი, რამაც მხატვარს სახელი გაუთქვა მთელ მსოფლიოში.

1876 წელს, რეპინი ჩუგუევში მოტივების საძებრად გაემგზავრა. იქიდან მხატვარი სტასოვს სწერდა: „ამას წინათ მე მოვიარე ახლო-მახლო სოფლები. დავესწარი ქორწილებს, ვიყავი ბაზრობაზე, სასტუმრო-ბაკებში, სამიკიტნოებსა და ტრაქტირებში, ეკლესიებში... რა მშვენიერებაა, როგორი აღტაცებული ვარ! არ შემიძლია აგიწეროთ! რა არ გავიგონე და, რაც მთავარია, რამდენი რამე არ ვნახე. ეს იყო ჯადოსნური სიზმარი".

იქ ჩუგუევის მიდამოებში, 1877 წელს, რეპინმა პირველად ნახა ლიტანია, რამაც მასზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. მან აქვე დასწერა პირველი ესკიზი, რასაც „სასწაულმოქმედი ხატი" უწოდა. 1877-1878 წლებში სხვა სურათებთან ერთად ის „ლიტანიაზედაც" გამუდმებით მუშაობდა; მხატვარი სტასოვს სწერდა: „სურათს თავს არ ვანებებ, მისთვის ახალ ეტიუდებსა ვწერ, საინტერესო სუბიექტს გადავეყარე". 1879 წელს, მას შემდეგ, რაც ერთხელ კიდევ მოიარა ჩუგუევის მიდამოები, მან განაახლა „ლიტანიაზე" მუშაობა და მისთვის არა ერთი და ორი ახალი ეტიუდი დასწერა.

მხოლოდ 1881 წელს შეუდგა რეპინი „ლიტანიის" წერას მთელი თავის მგზნებარებით. ამ სურათისათვის შეკრებილი მასალა საკმარისი არ აღმოჩნდა, და მხატვარმა მიაშურა ლიტანიებით სახელგანთქმულ კურსკის გუბერნიას. აქ მას დაებადა აზრი დაეწერა ორი სურათი: პირველი — „ლიტანიობა ძველად" და მეორე — „ახალი ლიტანიობა". პირველს საფუძვლად დაედვა ჩუგუევში შესრულებული ესკიზი. სურათი დამთავრებული და გამოფენილი იქნა მხოლოდ 1891 წელს „სასწაულთმომქმედი ხატის" სახელწოდებით. 1881 წელს დაწყებულ მეორე სურათს რეპინმა უწოდა „ლიტანია კურსკის გუბერნიაში". ამ სურათზე რამდენიმე წელს მუშაობდა და ის მხოლოდ 1883 წ. დაამთავრა. ორი ზაფხული 1881 და 1882 წლებში მან გაატარა ხოტიკოვოში, რათა „ლიტანიისათვის" აუცილებელი ეტიუდები გარეთ, მზეზე დაეწერა.

ლიტანიის პერსონაჟებისათვის რეპინს შესრულებული აქვს უამრავი ეტიუდი, ნახატი და მონახაზი. განსაკუთრებით ბევრი ეტიუდი აქვს დაწერილი კუზიანის ფიგურისათვის. სურათში გამოხატული კუზიანი რეპინმა თურმე მოსკოვში მონახა და მეტად ამოიჩემა კიდეც, რადგან იგი ძალიან ჰგავდა იმ კუზიანს, რომელიც მხატვარმა კურსკის გუბერნიაში ნახა ლიტანიობის დროს.

ამრიგად, რეპინმა ამ თემაზე 14 წელიწადი იმუშავა და შესძლო სურათისათვის ყოველივე ზედმეტი და არადამახასიათებელი ჩამოეცილებია, და დასტოვა მხოლოდ ტიპიურობისა და მხატვრობის თვალსაზრისით მისაღები დეტალები. ასეთი გულმოდგინე და ხანგრძლივი მუშაობით „ლიტანია" იმდენად სრულყოფილ ნაწარმოებად იქცა, რომ მისი გამოფენის შემდეგ რეპინი რუსეთის სწორუპოვარ მხატვრად იქნა აღიარებული.

1883 წელს რეპინი შეუდგა სურათს „არ ელოდნენ". პირველი შთანაფიქრით სურათზე გამოხატული იყო გადასახლებიდან მოულოდნელად დაბრუნებული სტუდენტი ქალი. ამ თემამ იგი იმდენად გაიტაცა, რომ დაიწყო დიდ ტილოზე მუშაობა. მრავალჯერ გადამუშავების შემდეგ სტუდენტი — ქალის ნაცვლად რეპინმა გამოხატა გადასახლებიდან დაბრუნებული ყოფილი სტუდენტი, წვეროსანი, რომელიც უკვე მოტეხილი და ხანში შესულია. სურათს სწერდა მხატვარი 1883 წლის ზაფხულის და შემოდგომის თვეებში, თავის აგარაკზე, პირდაპირ ნატურიდან. მოდელებად რეპინმა გამოიყენა ოჯახის წევრები და თავის მახლობელნი. დედისათვის მოდელად იდგა რეპინის სიდედრი ე. შევცოვა, დაბრუნებულის მეუღლისათვის — ვერა რეპინა და სტასოვის ქალიშვილი, დაბრუნებულის ფიგურისათვის — მხატვარი ტაბურინი; რეპინმა სურათში ჩასწერა თავის შვილები, შინამოსამსახურე ქალი და სხ. ამგვარად, რეპინმა პირველად თავის შემოქმედების პრაქტიკაში, სურათი მთლიანად ნატურიდან დასწერა, და ეს შეადგენდა მის დიდ სიხარულს.

ეს სურათიც რეპინმა გამოფენის შემდეგ რამდენჯერმე ხელახლად გადასწერა. ასწორებდა და ხელახლად სწერდა დაბრუნებულის ფიგურას, უმთავრესად მის თავს. სურათის დამთავრებიდან, ხუთი წლის შემდეგაც რეპინი ისევ უბრუნდება ამ კომპოზიციას და გადასახლებიდან დაბრუნებული სახის გამომეტყველებას ახალ იერს უძებნის.

ნატურისადმი ასეთმა უჩვეულო ყურადღებამ, გატაცებით მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი, რომ ეს ნაწარმოები რეპინის ერთ-ერთ ყველაზედ შესანიშნავ ფერწერილ სურათად ქცეულიყო.

ჯერ კიდევ ამ სურათის დამთავრებამდე რეპინი იწყებს ახალ ტილოს „ივანე მრისხანეს". ამ სურათის დაწერა რეპინს შთააგონა რიმსკი-კორსაკოვის „შურისძიების" მოსმენამ. მხატვარს აღეძრა სურვილი ფერწერაში გამოეხატა ის განწყობილება, რაც მას რიმსკი-კორსაკოვის მუსიკამ აღუძრა. რეპინი იმდენად იყო გატაცებული თავის ახალი სურათით, რომ ყოველთვის და ყველგან ეძებდა შესაფერ ნატურას. ივანე მრისხანეს სახის დასაწერად მან არა ერთი და ორი მოდელი გამოიცვალა (ჩისტიაკოვის მიერ მითითებული მოხუცი, ბაზარზე შემთხვევით შეხვედრილი დღიური მუშა და ბოლოს მხატვარი მიასოედოვი). უფლისწულისათვის რეპინმა დასწერა მწერალ გარშინის და მხატვარ მენკას ეტიუდები, რომელთა დამახასიათებელი გამომეტყველება გადაიტანა თავის სურათში.

ისევე, როგორც ყოველი სურათისათვის, ამ ტილოსთვისაც რეპინმა დაამზადებია სპეციალური კოსტიუმები და ყველა აქსესუარები მხატვარმა დასწერა და შეამოწმა ნატურის მიხედვით.

ასეთი გამუდმებული მუშაობით და ძიებით თავის დიდ ტალანტსა და ოსტატობასთან ერთად ის აღწევდა დასახული მხატვრული ამოცანის ბრწყინვალედ გადაჭრას. ასეთი მუშაობა იოლი როდი იყო მხატვრისათვის. ხშირად ეს არაჩვეულებრივი მოთხოვნილება თავის თავისადმი იწვევდა მასში უკმაყოფილების გრძნობას, და იყო წუთები, როდესაც მას საკუთარი თავის აღარ სჯეროდა. „მე დავინახე, რომ ჩემ მიერ დაწერილი კიდევ უფრო ცუდი გამხდარიყო, — სწერდა მხატვარი ვერიოვკინას, — მე ჩემს სახელოსნოში ახლა იმედგაცრუებული სასოწარკვეთილი ვარ".

მაგრამ რეპინი სძლევდა ასეთ განწყობილებასაც და გამუდმებულ შრომაში პოულობდა მხნეობასა და საკუთარი თავისადმი რწმენას. რეპინს იმდენად უყვარდა თავის ხელოვნება, რომ მას ერთი წუთითაც არ შეეძლო ხელიდან ფუნჯი გაეგდო. როდესაც ექიმებმა, მოხუცობის ჟამს მას აუკრძალეს შეუსვენებლად მუშაობა, და მას კვირა დღეებში ფანქარსა და ფუნჯს უმალავდნენ, მხატვარი მაინც ვერ ისვენებდა, პაპიროსის ნამწვს სამელნეში აწებდა და ხელთმოყოლილი ქაღალდის ნაგლეჯზე ხატვას იწყებდა.

როდესაც, ათეული წლების ასეთი გამუდმებული და დაძაბული შრომის შემდეგ, მხატვარს მარჯვენა ხელი შეახმა და აღარ შეეძლო ხელთ ფუნჯის ჭერა, მან მარცხენა ხელი გაიწაფა ხატვაში. როდესაც მოხუცებულობის გამო, მას აღარ შეეძლო ხელში პალიტრა დაემაგრებია, მხატვარმა კისერზე დაიკიდა პალიტრა და ასე განაგრძობდა მუშაობას.

ჩვენ გვხიბლავს რუსეთის ამ დიდი ხელოვანის მუშაობის არა მარტო ბრწყინვალე შედეგი, არამედ მისი შრომის მაგალითიც, სურათის შექმნის მისი მეთოდიც, რაც უაღრესად დამახასიათებელია რეალისტური შემოქმედებისათვის.

(„ლიტ. და ხელოვნება" მე-8 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხვიტორის გზაზე. ნახ. უჩა ჯაფარიძისა.

# ილია რეპინი და ივანე თარხნიშვილი

(დასასრული)

ებდა აგრეთვე ივ. თარხნიშვილი. იგი ყოველდღიურად ამ ამბის კურსში იმყოფებოდა. რამ გამოიწვია ეს კონფლიქტი? 1893-1894 წლებში ილ. რეპინმა საფუძვლიანად გადასინჯა თავისი მხატვრული პოზიციები ცნობილ „წერილებში ხელოვნების შესახებ“, რომელთაც იგი გზავნიდა პ. ვეინბერგის ცნობილ „თეატრალურ გაზეთში“, სადაც 1893 წ. 31 ოქტომბერში პისი პირველი წერილი დაიბეჭდა. სულ ცხრა წერილი იყო დასტამბული. აი ამ წერილებმა გამოიწვიეს კონფლიქტი ვ. სტასოვთან, რომელიც რეპინს ძველი ტრადიციების „მოღალატედ“ სთვლიდა. პირუთვნელმა ისტორიამ, რასაკვირველია, თავისი მსჯავრი უკვე გამოიტანა: ამ პრინციპულ დავაში ი. რეპინი მართალი აღმოჩნდა: საჭირო იყო განახლება ფერწერის ტრადიციებისა, საჭირო იყო მეტი სიცოცხლის შეტანა ხელოვნებაში. თვითონ ი. რეპინი მეტისმეტად კრიტიკულად უდგებოდა თავის შემოქმედებას: „ჩვენ არა გვაქვს მხურვალე, ბავშური სიყვარული ფორმისადმი“. სწერს იგი ელენა თარხნიშვილს, 1894 წ. 7 აგვისტოს წერილში. „ამის გარეშე კი მხატვარი იქნება მშრალი, მძიმე და ნაკლებად ნაყოფიერი. ჩვენი ხსნა.. ბუნების ცოცხალ სილამაზეშია“. მართლაც, „პერედვიჟნიკები“, რომელთა წევრი ი. რეპინიც იყო, თავისი სურათების ვიწრო ტენდენციურობით და ყოფა-ცხოვრების პასიური ასახვით ჩიხში მოემწყვდნენ, და ი. რეპინი, როგორც დიდი მხატვარი, გრძნობდა ამას და ეძებდა გზებს ამ ჩიხიდან გამოსვლისათვის. ვ. სტასოვი ამ გარემოებას ანგარიშს არ უწევდა და ფანატიკურად იცავდა ძველ მხატვრულ პოზიციებს. როგორც იქნა, 1899 წელს ვ. სტასოვი და ი. რეპინი თარხნიშვილების ოჯახის საშუალებით ისევ შერიგდნენ.

1906 წლის „პერედვიჟნიკების“ ძე-34 გამოფენაზე ი. რეპინმა სხვა ესკიზებისა და ეტიუდების გვერდით გამოფინა რამდენიმე პორტრეტი, მათ შორის, ივანე თარხნიშვილის პორტრეტიც. ამის შესახებ ი. რეპინი სწერდა მას: „თქვენ პორტრეტს გადახედვა სჭირდება. შემიძლიან თუ არა გამოგიაროთ მომავალ ორშაბათს, 23 იანვარს, დილის 10 საათზე? პალიტრა და საღებავები თან მექნება. თუ შეიძლება, სეანსი ჩავატაროთ იმავე ოთახში, როგორც შარშან!! (1906 წ. 16 იანვარს, კუოკალადან).

ივ. თარხნიშვილი „პოპულარული ლიტერატურულ-სამედიცინო ჟურნალის“ ერთერთი რედაქტორთაგანი იყო. ამ ჟურნალისათვის ილ. რეპინი დაპირებია სტატიის დაწერას სათაურით „მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიისათვის“, მაგრამ თვეები გადიოდნენ, და ი. რეპინი თავის დაპირებას არ ასრულებდა. ეს გარემოება ძლიერ აწუხებდა მხატვარს: „რამდენსაც არ ვცდილობ ივანე რომანის ძის ჟურნალისათვის დავწერო, არაფერი არ გამოდის აქამდის“. შემდეგ: „არასგზით არ შემიძლია შევაჩერო აზრები რამე ობიექტიურზე, თავში ანალოგიები მომდის, გადავდივარ თანამედროვეობაზე და ვიბნევი“, ასე იმართლებს თავს ი. რეპინი ელენე პავლეს ასულის წინაშე.

მეტად საინტერესოა წერილები, სადაც ი. რეპინი იმდროინდელ პოლიტიკურ საკითხებს ეხება. 1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხების შემდეგ ი. რეპინი ივ. თარხნიშვილისადმი მიწერილ წერილებში ასე ახასიათებს ნიკოლოზ მეორეს: „Невежественный держиморда“, „Нелепый варвар,“ „Гнусный варвар“ და სხვა. (წერილები 1905 წ. 19.V-და 31.VVII-დან) აღსანიშნავია რეპინის შემდეგი სიტყვები: „როგორი შეუსაბამობაა თვითმპყრობელობა, ველური ადამიანის ჟუიცი, საშიში და თავისი შედეგების მიხედვით საზარელი გამოგონება... სულ მუდამ იმას ხედავ, თუ როგორ ხრწნის ადამიანს, კარგ ადამიანსაც კი — დესპოტიზმი. წყეულიმც იყოს ძველი წესწყობილება!“ — ასეთი აღშფოთებით არის აღსავსე რეპინი ივ. თარხნიშვილისადმი გაგზავნილ წერილში.

იმდენად უყვარდა ი. რეპინს ივანე თარხნიშვილი რომ მისი გარდაცვალების რამდენიმე წლის შემდეგ 1910 წლის 17 მარტის ელენესადმი გაგზავნილ წერილში სწერს: „დაიჯერებთ თუ არა, ყოველ დილით, როდესაც ფიჭნარში ვსეირნობ, (რომელსაც თარხნიშვილის ფიჭვნარს ვუწოდებთ!), ის ცოცხლად მაგონდება და ველოდები, რომ აგერ არის გამოისეირნებს და შემხვდება“.

ასეთი გულწრფელი, პატივისცემით და სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულება არსებობდა ამ ორ შესანიშნავ ადამიანს შორის.

ლიტერატურული კალენდარი

## ტიმოთე გაბაშვილი

გარდაცვალებიდან 180 წლისთავის გამო

1764 წლის ივლისში, ქ. ასტრახანში გარდაიცვალა XVIII საუკუნის ქართველი მწერალი ტიმოთე გაბაშვილი. იგი ეკუთვნოდა სასულიერო მწერალთა იმ ჯგუფს, რომელნიც თავიანთი განათლებით და მწერლობის მოყვარეობით ძლიერ ახლოს იდგნენ იმავე ხანის სახელოვან მოღვაწესთან — კათალიკოს ანტონ პირველთან (1720-1788).

ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ნათელი მაგალითია სამშობლოს მოსიყვარულე ადამიანისა, რომელიც „ულმობლად ამათრახებდა და ამხილებდა ყოველგვარ ნაკლს თავისი სამშობლოს წარსულისა და აწმყოისას“. „ჩვენში რომ შესაფერისი პირობები და ნიადაგი ყოფილიყო, — სწერს აკად. კორნელი კეკელიძე, — შესაძლოა, ტიმოთეს ჩვენს საეკლესიო-საზოგადოებრივს ცხოვრებაში ისეთივე რამ გამოეწვია, რაც გამოიწვია რუსეთში პატრიარქ ნიკონის ანალოგიურმა სულისკვეთებამ ლიტურგიკულ მწერლობის სფეროში“ (იხ. „ქართული ლიტერატ. ისტორია,“ ტ. I, 1941 წ., გვ. 322).

სამწუხაროდ, ტიმოთე გაბაშვილის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტალური ცნობები შემონახულა. არ ვიცით, როდი დაიბად იგი და ან როგორი იყო ის ლიტერატურული წრე, სადაც მას აღზრდა უხდებოდა. იგი 1738 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე გიორგისძეს (1721 - 1752) გაუგზავნია დესპანად რუსეთის დედოფალ ანნა იოანეს ასულთან. მაგრამ ამ ელჩობას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. უკან გამობრუნებული ტიმოთე გზაზე ლეკებს ჩაუგდიათ ხელში, მაგრამ ტყვეობიდან დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ თავი დაუღწევია და სამშობლოში დაბრუნებულა. აქედან ტიმოთე ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზისა და ირაკლის ნებართვით აღმოსავლეთის ე. წ. „წმინდა“ ადგილების მოსახილველად გაემგზავრა. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ერთხანს დავით გარეჯის უდაბნოში ცხოვრობდა, შემდეგ კი წავიდა რუსეთს, საიდანაც სამშობლოს აღარ დაბრუნებია.

ტიმოთე გაბაშვილი ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელია მე-18 საუკუნის ქართული მწერლობისა. მას ეკუთვნის „მოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“. ამის გარდა, დაუწერია „მარწუხი“ და „გარდამოცემული ერთობისათვის და სიყუარულისა“. ეს ორი უკანასკნელი ნაშრომი დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათისაა. წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით, უფრო საყურადღებოა მისი „მოხილვა წმ. ადგილთა“ (გამოსცა იგი პლ. იოსელიანმა 1852 წ.) ეს ნაწარმოები აღორძინების ხანის (მე-17 — 18 ს. ს.) ქართულ სამოგზაურო ლიტერატურის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია. მეტად საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების შემცველია ამ ძეგლის ორი თავი: ა) „უკეთუ გენებოს ცნობად თუ ქართუელნი ვითარ იპყრობენ იერუსალიმს, ესრეთ ვჰპოვენით მუნ წერილთა შინა“ (გვ. 148-155) და ბ) „აქა, თუ ვის მიერ აღეშენეს იერუსალიმს მონასტერნი, იხილეთ“. (გვ. 156-176). ცნობილია, რომ ქართველ მწერლებს ეს ადგილები მარტო სასულიერო მიზნით არ იზიდავდა: ისინი წარმოადგენდნენ ქართველთა სწავლა-განათლების და კულტურის ცენტრებს. ამიტომაც იდგა აღორძინების ხანის მწერლების წინაშე მწერლობის ამ ცენტრების შესწავლისა საკითხი, მაგრამ ბევრი ვერ ბედავდა ამ შორეულ ადგილებში გამგზავრებას.

ტ. გაბაშვილის ხსენებული ნაწარმოებნი ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეში დღესაც არ არიან ინტერესს მოკლებულნი.

**ალექსანდრე კიკვაძე**

აზიზ შარიფი

# პოეტი—ისტორიკოსი

(აბასყული ბაქიხანოვის დაბადებიდან 150 წლისთავის გამო)

აზერბაიჯანელი ხალხის ყველაზე უფრო სახელოვან შვილთა შორის, აზერბაიჯანის კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის დიდ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აბასყული აღა ბაქიხანოვს.

გასული საუკუნის აზერბაიჯანის ეს შესანიშნავი განმანათლებელი, „გუდსის“ ფსევდონიმით ცნობილი, ჩამომავალია იმ მფლობელი ხანებისა, რომლებიც მე-18 საუკუნეში ბაქოსა და ყუბას განაგებდნენ.

კავკასიისა და, კერძოდ, აზერბაიჯანის ცალკეული სახანოების რუსეთთან შეერთების შემდეგ ბაქიხანოვი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა აღმოსავლური ენები და მაშინდელ წრეებში ცნობილი იყო თავისი განათლებით, გენერალმა ერმოლოვმა, კავკასიის ჯარებისა და ოლქის უფროსმა კავკასიის მაშინდელ ადმინისტრატიულ ცენტრში, თბილისში მიიწვია. ბაქიხანოვს წინადადება მისცეს შესულიყო სახელმწიფო სამსახურში, და 1820 წლიდან იგი გახდა ერთ-ერთი მახლობელი თანამშრომელი რუსეთის მმართველობისა კავკასიაში.

„თბილისში ყოფნის დროს, — სწერს ბაქიხანოვი, — დავიწყე რუსული ენის შესწავლა. მისი დახმარებით გავეცანი ევროპულ კულტურას. რაკი მუდამ დიდ უფროსებს ვახლდი, საშუალება მომეცა მენახა შირვანი, სომხეთი, დაღესტანი, ჩერქეზეთი, საქართველო, ანატოლია და სხვა მხარეები. ვეცნობოდი ადგილსა და ნასწავლ ხალხს. თურქეთთან და სპარსეთთან ომის დროს, აგრეთვე ზავის დადების დროს პატივი მქონდა ვხლებოდი უგანათლებულეს თავადს პასკევიჩს. 1833 წელს ვიმგზავრე კავკასიის ხაზზე, დონის მიწა-წყალზე, უკრაინაში, ველიკორუსიაში, ლიტვასა და პოლონეთში. ვეცნობოდი სახელმწიფო მოღვაწეებს და სწავლით ან ხელოვნებით განთქმულ ხალხს“.

არაჩვეულებრივმა ბუნებრივმა ნიჭმა, სამშობლოში მიღებულმა ყოველმხრივმა აღმოსავლურმა განათლებამ, გამჭრიახმა გონებამ, გამუდმებულმა მოგზაურობამ კავკასიასა და რუსეთში, ახლო ნაცნობობამ და მეგობრობამ მაშინდელ გამოჩენილ ადამიანებთან, ისეთებთან, როგორნიც იყვნენ გრიბოედოვი, პუშკინი, ბესტუჟევ-მარლინსკი და სხვები, საზოგადო საქმის სიყვარულმა, — ყველაფერმა ამან აბასყული აღა ბაქიხანოვი შეიყვანა იმდროინდელ ლიტერატურულ და მეცნიერ მუშაკთა რიგებში, გახადა დასავლეთ ევროპის და რუსეთის კულტურის თავდადებული მომხრე, დაუღალავი განმანათლებელი.

თვითონ ბაქიხანოვი ასეთი სიტყვებით გადმოგვცემს თავის საგანმანათლებლო აზრებს:

„ბევრი რამ ვნახე გულისა და ჭკუისათვის საინტერესო, და ვცდილობდი სარგებლობის გამოტანას. ადამიანთა საქმეს რომ დავუკვირდი, დავრწმუნდი, რომ ქვეყნად მუდმივი არა არის რა, რომ სიმდიდრე და ხელისუფლება შეიძლება დაიკარგოს, რომ დიდი ჩამომავლობა, თუ მას თან პირადი ღირსებაც არა სდევს, უცხო ქვეყანაში არა სჩანს, სამშობლოში კი არცხვენს ადამიანს. დავრწმუნდი, რომ მხოლოდ მეცნიერებას, გონების ნაწარმოებში გამოვლინებულს, შეუძლიან მოგვცეს ბედნიერება ამ ქვეყნად და განაგრძოს ჩვენი არსებობა სიკვდილის შემდეგ“.

თავისი ხალხის სამსახურის დიდი იდეით გამსჭვალულმა, კულტურის გამდიდრების მსურველმა ბაქიხანოვმა შთამომავლობას დაუტოვა თერთმეტი დიდი შრომა სულ სხვადასხვა ჟანრისა და სულ სხვადასხვა თემაზე დაწერილი (პოეზია, ისტორია, ფილოსოფია, პედაგოგიკა, ასტრონომია, ლინგვისტიკა, გეოგრაფია და სხვ.).

ბაქიხანოვის ნაწარმოებთა შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მეცნიერული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ნაშრომი—„გიულისტან ირემ“ („სამოთხის ყვავილნარი“), — დაწერილი ფარსულ და რუსულ ენებზე, პედაგოგიური ნაშრომი—„ნასიხათ ნემე“ („დარიგებათა წიგნი“), მხატ-



ვრული ნაწარმოები — „ქითაბი ასკერე“ („ასკერის წიგნი“), ფილოსოფიური ნაშრომი — „ეინულ მიზანი“ („თვალთა ზომა“), დაწერილი არაბულად და, ბოლოს, „მურათილ ჯემალ“ („სილამაზის სარკე“), ფარსული ლექსების კრებული.

ამას გარდა, ბაქიხანოვს აზერბაიჯანულ, არაბულ და ფარსულ ენებზე დაწერილი აქვს ბევრი ლექსი, მაგრამ ჩვენამდე ამ ლექსების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია.

აბასყული აღა ბაქიხანოვი, როგორც ისტორიკოსი, თავის ძირითად ისტორიულ შრომას „გულისტან ირემს“ იწყებს შირვანისა და დაღესტნის (კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის) ტოპოგრაფიული აღწერით. შემდეგ, თავისი სამშობლოს მთელ ისტორიას, უძველეს დროიდან მოყოლებული 1813 წლამდე, როდესაც რუსეთსა და ირანს შორის გულისტანის ზავი დაიდო, იგი ჰყოფს ხუთ პერიოდად, თანაც თხრობაში გზა და გზა ეხება აზერბაიჯანის მეზობლების — დაღესტნის, საქართველოს და სომხეთის ისტორიის ამბებსაც.

თავისი ისტორიის დასკვნით ნაწილში ბაქიხანოვი მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა „შირვანისა და მისი მეზობელი პროვინციების შვილებზე, რომლებმაც თავი ისახელეს სწავლულობითა და ღირსებით“, დიდ აზერბაიჯანელ პოეტებზე— მახსატი ხანუმზე, ნიზამიზე, აბულულაზე, ხაკანიზე, ფელექიზე და მრავალ სხვაზე. ამით იგი აშუქებს აზერბაიჯანის კულტურის აყვავების ხანას — „ოქროს ხანას“ (მე-12 საუკუნე).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „გულისტან ირემ“-ის უკანასკნელ კარს, სადაც ავტორი მოგვითხრობს ბოლო დროის ამბებს, რაც მას ცოცხალ მომსწრეებისაგან გაუგონია ან რაც თვითონ უნახავს და იქნებ თვითონაც ყოფილა მათი მონაწილე.

ამრიგად, ბაქიხანოვის ეს შრომა საუკეთესო წყაროა იმათთვის, ვისაც აინტერესებს აზერბაიჯანის ისტორია.

ბაქიხანოვს, როგორც პოეტს, აზერბაიჯანის ლიტერატურის ისტორიაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მისი პოეზია გამოირჩევა სერიოზული ფილოსოფიური ელფერით, ზნეობითი-დამრიგებელი ხასიათით. ჩვენამდე მოღწეულ მის ლექსებში არის რამდენიმე პოეტური ნაწარმოები, მიძღვნილი საქართველოსა და თბილისისადმი, სადაც მან თავისი ცხოვრების მრავალი წელი გაატარა. ამ ლექსებში აღფრთოვანებით უგალობს იგი ქალაქს, მტკვარს, ქართველი ხალხის გულღიაობას, გულკეთილებასა და ამაღლებულ სულს. ამასთან პოეტი აქებს ქართველი ქალის სილამაზეს.

ბაქიხანოვმა დაგვიტოვა აგრეთვე მრავალი სატირული ნაწარმოები, სადაც მწვავედ ამათრახებს თავისი დროის საზოგადოების ამა თუ იმ ნაკლს (ასეთია მაგ. სატირა თავრიზზე და სხვ.). ბაქიხანოვის პოეზიის ასეთი ხასიათი აახლოვებს მას დიდ რუს იგავარაკე კრილოვთან, რომელსაც ამ აზერბაიჯანელმა პოეტმა თავისი გატაცების ხარკი გადუხადა იმით, რომ აზერბაიჯანულად სთარგმნა მისი იგავ-არაკები. ამ თარგმნებიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა მოაღწია, ცნობილმა იგავ-არაკმა „ვირმა და ბულბულმა“. ამ თარგმანს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი წარმოადგენს რუსული ლიტერატურის ნიმუშების აზერბაიჯანულად თარგმნის პირველ შემთხვევას.

აბასყული აღა ბაქიხანოვი, როგორც უდიდესი განმანათლებელი აზერბაიჯანისა, დიდ მნიშვნელობას აძლევდა აღზრდის საკითხებს, რომლებსაც უძღვნა სპეციალური წიგნი — „დარიგებათა წიგნი“, უშუალოდ მიმართული ახალგაზრდობისადმი.

სიყვარული მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი, დაუღალავად შრომა, გულწრფელობა და ერთგულება მეგობრობაში, პატიოსნება და ერთგულება საზოგადო საქმეში, — აი ის ღირსებები, რომლებსაც ბაქიხანოვი უნერგავს თავის ჭაბუკ მკითხველებს.

მირზა ფატალი ახუნდოვი, აზერბაიჯანელი ხალხის განსაკუთრებული სიამაყე, ცხოვრობდა იმავე ეპოქაში და მოღვაწეობდა ბაქიხანოვთან ერთად ერთს და იმავე უწყებაში. რუსეთის არმიის პოლკოვნიკი ბაქიხანოვი მახლობელი იყო კაპიტან ახუნდოვისა და ბაქიხანოვმა, ეჭვი არ არის, დიდი გავლენა მოახდინა თავისი უფრო ახალგაზრდა თანამედროვის დასავლეთურ-საგანმანათლებლო მისწრაფებათა ჩამოყალიბებაზე.

თავისი დროის მოწინავე ადამიანი, აბასყული აღა ბაქიხანოვი ცნობილი იყო არა მარტო აზერბაიჯანსა და კავკასიაში, არამედ რუსეთშიც და მთელს აღმოსავლეთში, აგრეთვე ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშიც, სადაც იბეჭდებოდა მისი ლექსების თარგმანი.

აზერბაიჯანელი ხალხი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ბატონ-პატრონი გახდა თავისი წარსულის კულტურული საუნჯისა, ამჟამად სრული უფლებით ამაყობს თავის ერთ-ერთი საუკეთესო შვილით, რომელმაც მშობელი ქვეყნის წინსვლის ისტორიაში თავისი მხატვრული და მეცნიერული შრომებით ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა.

გურგენ ბორიანი

# დედა*)

მეავტომატეთა მთელი ქვედანაყოფი ელოდა პავლე დემჩენკოს დაბრუნებას. უნდოდათ გაეგოთ რა ამბავს მოიტანდა ის თავისიანებისაგან. გვარდიელთა დანაყოფი პოლტავის ოლქის ერთ-ერთ სოფელში შეჩერებულიყო.

საღამო იყო. ცა მოღუშული დასცქეროდა იმ სოფელს. მთვარე უზარმაზარ გასისხლიანებულ თვალს წააგავდა, რომელიც ცივ და ამღვრეულ შუქს ჰფენდა დასავლეთისაკენ მიმავალ დიდ გზაზე გაფანტულ სოფლების ნანგრევებს. რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ჯარის ძლიერი შეტევის შედეგად ამ სოფელზე ჩაიარა გერმანელთა უკანასკნელმა ხროვამ, ისინი გზაზე ყველაფერს სწვავდნენ და ახადგურებდნენ. ჯერ ისევ ხრჩოლავდნენ სახლები, შეტრუსულ და შიშველ ხეებს მგლოვიარეებივით მწუხარედ დაეხარნათ ტოტები და საცოდავად დასცქეროდნენ ნანგრევებს. გადატრუსულ ბაღებში ოხვრა-კვნესით მიიხლაზნებოდნენ ნაკადულები, ხოლო მინდვრის ქარი იოგვლივ ფანტავდა ნაცარს და შორს, ძალიან შორს, დნეპრისაკენ მიაქროლებდა მტვერს, დნეპრისაკენ, რომლის ნაპირებზედაც სისხლის მღვრელი ბრძოლა მიმდინარეობდა.

მეავტომატეთა დანაყოფი დაბანაკდა და რამდენიმე საათით შესვენებას მიეცა. მებრძოლები შემოდგომის მწვანეზე გაწოლილიყვნენ, ზოგი სთვლემდა, ზოგი რაღაცაზე ფიქრობდა, თან გემრიელად აბოლებდნენ თამბაქოს. სდუმდნენ. რა იქნა პავლე, იპოვნა თუ არა თავისიანები.

სერჟანტი დემჩენკო ამ სოფლიდან იყო. მას ორ წელზე მეტია არ უნახავს თავისი დედა და და. მათ შესახებ არაფერი იცოდა. დანაყოფის სოფელში შეჭრისთანავე ის თავისიანების ძებნას შეუდგა. ნეტავი, იპოვნა, თუ არა პავლემ თავისი დედა ან და ამ ნანგრევებში, ცოცხლები არიან თუ არა. ყველას ეს ფიქრი აწუხებდა, ამიტომაც ძილი არ ეკარებოდა მათ თვალებს.

ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა პავლე დემჩენკო. ის მთვარეულის გაურკვეველი ნაბიჯებით მიუახლოვდა ცეცხლს. მდუმარე ჩამოჯდა ჯირკზე, თავი ჩაღუნა და თითქოს ერთ ადგილზე გაქვავდა. ამხანაგები შეჰყურებდნენ—ყველას ყურადღება მისკენ იყო მიქცეული, მისი სახე ქარს თითქოს უფრო გაეშავებინა. გრძელი გზა გაევლო, თმასა და წარბებზე მტვერი დასდებოდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ამ რამდენიმე საათის განმავლობაში დაბერებულიყო.

— კარგია, ხმა ამოიღე, ნუ მოგვკალი!— მიმართა ყაზახმა ბერდიბეკოვმა.

პავლე მაინც სდუმდა. სდუმდნენ პავლეს თანამგზავრებიც—ლეიტენანტი სტაროდუბცევი და ორი მეავტომატე.

— შენ მაინც ამოიღე ხმა, ვასია!—ჩაილაპარაკა ციმბირელმა მალინინმა.

არასასიამოვნო დუმილი იყო, თანაც ცნობის მომასწავებელი.

— გვითხარი რამე, ლეიტენანტო, შენ მაინც გვიამბე, — მიუბრუნდა სტაროდუბცევს ქვედანაყოფის მეთაური.

აი რაში იყო საქმე.

როდესაც 1941 წელს გერმანელთა ტანკები პოლტავის ოლქში შეიჭრნენ, იმ სოფელმა, რომელიც მთავარი გზის პირას მდებარეობდა, პირველმა იგემა გერმანელ ავაზაკთა მთელი სიმკაცრე. სოფლის მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა მიატოვა საკუთარი კერა და გულჩათუთქული გაუდგა მტვერიან შარაგზას — გაჰყვა წითელი არმიის ნაწილებს, რომელნიც აღმოსავლეთისაკენ იხევდნენ. მამაკაცთა ნაწილმა—კი ტყეს მიაშურა პარტიზანული ჯგუფის შესადგენად. სოფელში დარჩნენ მეტწილად მოხუცნი, ქალები და ბავშვები. დემჩენკოების ოჯახიდან პარტიზანად გავიდა ანდრია, პავლეს უფროსი ძმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე. პავლეს დედა მართა დემჩენკო და მისი და ოქსანა სახლში დარჩნენ. მოხუცი მართა მძიმე ავადმყოფობას ლოგინში ჩაეწვინა.

— წადით, მოშორდით აქაურობას, ანდრეი, ოქსანა—არწმუნებდა დედა შვილებს, მე კი აქ დავრჩები, ავადმყოფ ბებერს ხელს არ ახლებენ.

— არც მე წავალ, დედა მეც შენთან დავრჩები—სთქვა ოქსანამ.

დრო არ ითმენდა, გერმანელთა ტანკები სოფელს უახლოვდებოდნენ. ჩვენი ჯარები ბრძოლებით უკან იხევდნენ. ანდრეი დიდ ხანს ეხვეწა დედას და დას, რომ მას წაჰყოლოდნენ, მაგრამ დედას გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა.

— ჩემი სახლიდან არსად არ წავალ, აქ დავბადებულვარ, აქვე მოვკვდები.

— აჩქარდი ანდრეი — ეძახდნენ გარედან ამხანაგები.

ანდრეი დაიხარა და დედის ფერმკრთალ შუბლს ემთხვია. ცრემლს ძლივს იკავებდა. შემდეგ ოქსანას გადაეხვია და უთხრა:

— ჩემო ძვირფასო ოქსანა, გაუფრთხილდი დედას, ჩვენ მალე დავბრუნდებით...

ანდრეიმ ერთხელ კიდევ გადახედა საყვარელ სახლს, დასევდიანებული გულით გარეთ გავიდა და ამხანაგებთან ერთად სოფელს გაშორდა.

სოფელში გერმანელმა აფთარმა დაიმქუილა.

მძიმე ღამე ჩამოწვა, თითქოს ვაზისა და შიუჯრაცყოფისაგან სოფლის თეთრმა ქოხებმა შავად იცვალეს ფერი. მხოლოდ ადამიანები დარჩნენ გაუტეხარნი. მათი სული ვერ შეაძრწუნა გერმანელის მრისხანებამ.

პირველ ხანებში გერმანელებმა ხელი არ ახლეს მართას და ოქსანას.

— ავადმყოფი ბებერია, კვდება, დე მოკვდეს,—სთქვა უსირცხვილოდ ობერ-ლეიტენანტმა კრაუზემ—ძალიან კარგია ეს, ყველა უკრაინელი უნდა მოკვდეს...

მაგრამ უკრაინელები, მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილნი, გააფთრებით იბრძოდნენ. პ-ს პარტიზანული რაზმი მოსვენებას არ აძლევდა გერმანელებს. რაზმი ძალს უფრთხობდა გერმანელთა ნაწილებს. ბევრ გერმანელს მოუსპო მან სიცოცხლე.

როგორღაც გერმანელებმა გაიგეს რომ რაზმის სული და გული ანდრეი დემჩენკოა და რომ მისი დედა და და ამ სოფელში ცხოვრობენ. ბრძანების თანახმად სოფლის კომენდანტი კაპიტანი გროსე საქმეს შეუდგა. გესტაპოს აგენტები დღე და ღამ დაეხეტებოდნენ დემჩენკოების სახლის გარშემო, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ერთ ბნელ ღამეს ანდრეი შეუმჩნევლად სახლში მაინც მოვიდა, ნახა ავადმყოფი დედა და და და ისევ შეუმჩნევლად გაბრუნდა.

მეორე დღეს კაპიტანი გროსე გესტაპოელებთან ერთად დემჩენკოების სახლში გამოცხადდა.

— სთქვი ბებერო, სად არის შენი შვილი. ავადმყოფმა ძლივს წაილუღლუღა:

— ისევე ვიცი, სად არის ჩემი შვილი, როგორც თქვენ იცით.

გროსემ ცინიკურად ჩაიცინა.

— შენ, ქალიშვილო, არც შენ იცი?—ჰკითხა მოთმენით კაპიტანმა ოქსანას და ორი თითი ლოყაზე აუსვა.

ოქსანამ გველნაკბენივით უკან დაიხია, გერმანელს თვალებში ჩააცქერდა და უთხრა:

— არა, არ ვიცი, ბატონო ოფიცერო.

— მაშ ასე—ჩაიბუტბუტა კაპიტანმა.

სიბრაზისაგან ძალზე ღელავდა გროსე, სისხლიანი თვალები თითქოს ბუდიდან გამოვარდნას ლამობდნენ.

— საღამოს შვიდ საათამდე გაძლევთ ვადას: ან გაცნობებთ მათ ადგილსამყოფელს ან არა და...

კაპიტანი წავიდა.

საღამოს სრულ შვიდ საათზე გერმანელმა მეავტომატეებმა ალყა შემოარტყეს დემჩენკოების სახლს. მეზობელი გლეხები რაღაც ცუდს მოელოდნენ. ეულდა ნაცემნი შორიდან შესცქეროდნენ ისინი ამ სახლს.

კაპიტანმა გროსემ ჰკრა ქოხის კარს და შიგ შევიდა.

— აბა მითხარით თქვენი გადაწყვეტილება...

ოქსანა მაგრა მოხვეოდა თავის ავადმყოფ დედას, ოთახში სიჩუმე იდგა.

— თქვენ გეუბნებით, ხმას ამოიღებთ თუ არა. ხუთ წუთს გაძლევთ ვადად.

გროსე მაგიდასთან ჩამოჯდა, საათი იქვე დადო. დინჯად მოუკიდა სიგარას.

— ერთი წუთი!—სთქვა გროსემ და ფეხი ფეხზე გადაიდო.

სიჩუმე.

— ორი!

კვლავ სიჩუმე.

— სამი!

ოთახში მხოლოდ ავადმყოფის მძიმე სუნთქვა და საათის რიტმიული ხმაური ისმოდა.

—ოქსანა, შვილო, წამომწიე—წაილუღლუღა მართამ.

ოქსანამ წამოსწია დედა, გვერდებში ბალიშები შეუწყო და თვითონაც იქვე ახლო ჩამოჯდა. ძლივს სუნთქავდა. ფერი წასვლოდა. იგი იდაყვებს დაეყრდნო და წყნარად წარმოსთქვა:

— რა გინდა ჩვენგან, ავაზაკო, ჩემს შვილს შენ ვერასოდეს ვერ იპოვნი, ის კი უეჭველად გიპოვნის. თქვენ ყველას გიპოვნით და წარდგებით მის და მისი ამხანაგების მრისხანე სამსჯავროს წინაშე. ჩვენგან შენ ვერაფერს ვერ გაიგებ...

ცახცახებდა. ღრმად ამოისუნთქა და ღონე მიხდილი ბალიშებზე დაეცა.

— დედა, დედა დამშვიდდი!—ემუდარებოდა ოქსანა და თანაც მწარედ ქვითინებდა.

— ნუ სტირი, ოქსანა, მაგ საზიზღრებმა არ უნდა შეგამჩნიონ ტირილი. არ უნდა ნახონ ჩვენი ცრემლები,—ჩასჩურჩულებდა ყურში დედა თავის გოგოს.

ოქსანამ ცრემლები მოიწმინდა და ფეხზე წამოდგა.

— მოშორდი აქაურობას! ეს მოხუცი მაინც შეიბრალე, ვერ ხედავ რა მძიმე მდგომარეობაშია.

გროსე დინჯათ მიუახლოვდა ოქსანას.

— მაშ ასე, მაშ, შენც უარს აცხადებ, პასუხს არ გვაძლევ—კბილების კრაჭუნით წარმოსთქვა გერმანელმა ოფიცერმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მოშორდი აქაურობას, ვეუბნები!

გროსემ ერთი ნაბიჯი წინ გადადგა გოგონასაკენ, და ოქსანას მთელი ძალით მაგარი სილა გაარტყა. ოქსანა ოფიცრისაკენ გაექანა, მაგრამ სიბრაზისაგან თვალთ დაუბნელდა და ისღა მოახერხა, რომ სახეში შეაფურთხა ოფიცერს, ოფიცერმა უკან დაიხია და ცხვირსახოცით სახე მოიწმინდა, მერე ცივად და მშვიდად ბუდიდან რევოლვერი ამოიღო, ოქსანას დაუმიზნა და სამჯერ ესროლა. ოქსანამ შეჰკივლა, ხელი მკერდზე იტაცა და მუხლებში ღონეგამოლეული იქვე დაეცა.

— დედა!.. ვკვდები!—წამოილუღლუღა მან ფერმიხდილმა.

დედამ სცადა წამოდგომა, მაგრამ ღონემიხდილი, გულწასული საწოლზე დაეცა. გერმანელმა ისევ მშვიდად და გულცივად რევოლვერი ბუდეში ჩასდო და გარეთ გავიდა.

მოშორებით შეგროვილ გლეხებს დემჩენკოების სახლიდან სამჯერ მოესმათ სროლის ხმა და ოქსანას შემზარავი შეკივლება.

ღამდებოდა. კაპიტანმა გროსემ ბრძანება მისცა—დაეკეტათ ოთახის კარები და ფანჯრები და ღიად დაეტოვებინათ მხოლოდ ის ფანჯარა, რომელიც მოედანს გაჰყურებდა. ჯარისკაცებმა სწრაფად შეასრულეს ოფიცრის ბრძანება. მერე გამხმარი ბალახის კონები დააწყეს კარებთან და ფანჯრებთან, ნავთი მოასხურეს ხის სახლს და ყოველი მხრიდან ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლის ალი უცებ შემოერტყა სახლს. მოედანზე შეკრებილი გლეხები ცოდვისაგან იტანჯებოდნენ და გულის ტკივილით შეჰყურებდნენ ცეცხლს, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და წითელი ფერით ღებავდა საღამოს ბინდს. იწვოდა სახლი, ძლიერდებოდა ცეცხლი და ეს ცეცხლი მათ გულს შურისძიების მრისხანებით ავსებდა.

— რას შვრებით, მხეცებო, მომაკვდავი ბებერი ქალი მაინც შეიბრალეთ!—ისმოდა ხალხში.

მაგრამ გერმანელები გაცოფებულიყვნენ. ანთებული ჩირაღდნებით გარს უვლიდნენ გავარვარებულ სახლს და ცეცხლს აძლიერებდნენ იქ, სადაც სუსტი ცეცხლი იყო. სახლი უკვე გახვეული იყო ალში.

— ღმერთო, მომეცი ძალა, რომ გავუძლო ყველაფერ ამას!—ბუტბუტებდა ერთი მოხუცი დედაკაცი და თან პირჯვარს იწერდა.

უცებ ალისფრად გავარვარებულ ფანჯარასთან თეთრი აჩრდილი გამოჩნდა.

— მართა სემიონოვნა, მართა სემიონოვნა!

— თითქოს ყველა ბაგემ ერთად წამოიძახა.

ვის არ შეზარავდა ეს სურათი! თეთრსამოსიანი დედაკაცი ფეხზე ძლივს იდგა, თმა აწეწილი, ღონემიხდილი მიუახლოვდა ფანჯარას და რაფას დაეყრდნო, მისი სახე აზვირთებული შურისძიებით იყო ანთებული, ქალი უცებ გასწორდა ადგილზე და ხელები ზე-აღმართა. გლეხებს მოესმათ მართა სემიონოვნას გულშემზარავი ყვირილი.

— წყევლა და კრულვა თქვენ, წყეულებო!

ამის თქმაღა მოასწრო მოხუცმა დემჩენკომ; გერმანელმა მეავტომატეებმა, რომელთაც ალყა შემოერტყათ სახლისათვის, ტყვია დაუშინეს ფანჯარას. მართა სემიონოვნა დინჯად ჩაცურდა ფანჯრის რაფიდან, ცეცხლმა შთანთქა ფანჯარა, იგი ჩამოინგრა. შემდეგ ჩამოწვა სახურავი, სვეტები და სახლის კოჭები. სახლი უზარმაზარ ჩირაღდანს ჰგავდა, რომელიც წითელ შუქსა ჰფენდა მთელ არემარეს.

დაცარიელდა წინ სოფლის ქუჩები. შუაღამემდე იწვოდა და ხრჩოლავდა სახლი. ადამიანები ჩაკეტილნი ფანჯრის მინებიდან ამღვრეული თვალებით ფარულათ შეჰყურებდნენ ამ სურათს მანამდე, სანამ ცეცხლი სულ არ ჩაქრა.

იმ ღამეს სოფელში არავის დაუძინია.

მერე ხმა დავარდა: მეორე ღამეს პარტიზანები ანდრეის მეთაურობით სოფელს ეწვივნენ, მოჰკლეს გერმანელთა გარნიზონის ყველა ოფიცერი და ჯარისკაცი, ხოლო კაპიტანი გროსე სოფლის მოედანზე თავდაყირა დაჰკიდეს...

ლეიტენანტი სტაროდუბცევი გაჩუმდა.

* * *

ყველა მებრძოლის გული ამხანაგის ნაამბობის მოსმენის შემდეგ აბობოქრებულ ზღვასავით ღელავდა. ვერც ერთს ვერ ეპოვნა სიტყვა, რათა სამარისებური სიჩუმე დაერღვია.

— ვასია, შენი ნაამბობით არა თავდება ყველაფერი,—სთქვა მალინინმა;—ჩვენ მოვათავებთ მაგ ისტორიას და მხეცს თავისსავე ბუნაგში ჩავახრჩობთ.

მალინინის სიტყვებმა ყველას გული მოჰფხანა. ამ სიტყვებმა ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვეს მებრძოლებში.

პავლე სდუმდა. ღრმად შეჭრილიყო მის გულში მწვავე ტკივილი. გრძნობდა, უმნიშვნელო სევდაც რომ მომატებოდა კიდევ მის გულს, ველარ აიტანდა და გულისცემა შეუჩერდებოდა. ამხანაგები თითქოს გრძნობდნენ ამას, მაგრამ ვერავინ ბედავდა ნუგეში ეცა მისთვის. ან რის თქმა შეეძლოთ და მერე განა ღირდა, იმ დროს, როცა ტკივილი და სევდა უსაზღვრო იყო, ზედმეტი იყო ეს: მებრძოლთა და ოფიცერთა დუმილი და მათ ხელებში მტკიცედ მომარჯვებული და გამზადებული ავტომატები ნათლად მეტყველებდნენ ამას.

მხოლოდ სერჟანტმა ელიაზარიამ, რომელიც პავლეს გვერდით იჯდა, ხელი გადახვია მას და მგრძნობიარედ უთხრა.

— ეჰ, პავლე, პავლე, სისხლი გვეწვეთება გულიდან შენი ამბის გამო.

გვარდიელი მებრძოლები ერთხანს გაქვავებულნი ისხდნენ, მათ აბობოქრებულ გულს თითქოს მარტო ვარსკვლავებით მოჭედილი უკრაინული ცა ესაუბრებოდა. ეს პატარა ვარსკვლავები, რომელნიც ხან ინთებოდნენ, ხან ჰქრებოდნენ, თითქოს ცახცახებდნენ მოხუც მართას სახლის ნანგრევებს რომ დასცქეროდნენ.

უცებ ყველანი უსიტყვოდ ფეხზე წამოდგნენ და ავტომატები აღმართეს. და როდესაც მეთაურმა, გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა სკვორცოვმა, ბრძანების „ცეცხლის“ ნაცვლად, მთელი ხმით წამოიძახა: „შურისძიება!“ ერთბაშად იგრიალეს ავტომატებმა, და ეს ძლიერი გასროლა თითქოს სკვორცოვის მიერ წარმოთქმული ერთი სიტყვის პასუხი იყო:

— შურისძიება!

მოქმედი არმია.

1943 წ. დეკემბერი.

თარგმანი **არტ. დავითიანისა**

*) გურგენ ბორიანი გამოჩენილი სომეხი მწერალია, სამამულო ომის მონაწილე, ორგზის ორდენოსანი კაპიტანი, მოთხრობა „დედა“ დაწერილია უკრაინაში.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სახახლე), ტელეფონი 8—47—10.

უე 08070

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28.